91 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს დაარსდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედი, გაზეთი „ჩხარის კოლმეურნე“.



## 91 წელი თქვენთან ერთად!



„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
**ვახუშტი ბაგრატიონი**

# თერჯოლა

Facebook გაზეთი თერჯოლა
www. nplg. gov. ge
www. terjola. gov. ge

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №13-14 (7113) 10 ივლისი 2024 წელი

# ევრო 2024-ის აღმოჩენა!

## „ქართველებმა ჩვენი გულები მოიგეს!“



**საქართველოს ეროვნულმა საფეხბურთო ნაკრებმა, თავის პირველ ევროპის ჩემპიონატში ასპარეზობა ესპანეთის წინააღმდეგ, მერვედფინალურ ეტაპზე ბრძოლის შედეგად დაასრულა. თუმც, რომ არა მსაჯის ჩვენთვის დაშვებული საბედისწერო შეცდომა, შედეგი შეიძლება სულ სხვა ყოფილიყო.**

☞3

## თერჯოლელთა თეატრის კიდევ ერთი აღიარება




საერთაშორისო ფესტივალი „თეატრალური იმერეთი - 2024“ დასრულდა.

სასიხარულოა, რომ ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ნომინაციაში „საუკეთესო რეჟისურა“ გამარჯვებულად დასახელდა რეჟისორი მამუკა ცერცვაძე (თერჯოლის სახალხო თეატრი) სპექტაკლისათვის „ზღაპარი იგი მათრობს და მხიბლავს“.

პროფესიული ჟიურის გადაწყვეტილებით, ფესტივალის დახურვის ცერემონიალზე დასახელდნენ 13 ნომინაციაში გამარჯვებულები.

ფესტივალში იმერეთის 20-მდე პროფესიული, სამოქალაქო და სახალხო თეატრი მონაწილეობდა. ამასთან, სტუმრის სტატუსით ფესტივალში ჩართული იყო მოლდოვისა და ლიეტუვას თეატრები. თერჯოლელთა სპექტაკლისა და ფესტივალის შესახებ დაწვრილებით მომავალ ნომერში მოგითხრობთ.

## ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

☞2

# წინ მრავალი ვნებათაღელვა გველის ზაფხულის ოლიმპიური თამაშები




## რას უნდა ველოდეთ ქართველი ოლიმპიელებისგან

მაღალკალიფიციურმა სპეციალისტებმა და კვლევებში სპეციალიზირებულმა კომპანიებმა, ოლიმპიური წინა პროგნოზი ჯერ კიდევ შარშან—2023 წლის დეკემბერში გამოაქვეყნეს.

მაშინ, საქართველოს ნაკრებს ათი მედლის მოპოვება უწინასწარმეტყველეს.

სულ ცოტა ხნის წინ კი, ერთ-ერთი ასეთი ბიუროს Gracenote-ის გათვლებით, საქართველო პარიზის ოლიმპიადაზე სამი ოქროს, ოთხი ვერცხლის და ოთხი ბრიჯნაოს მედალს მოიპოვებს და ეს ნაკრებს საერთო რეიტინგში 23-ე ადგილის დაკავების საშუალებას მისცემს.

განახლებულ რეიტინგში სამი ლიდერი უცვლელი რჩება: აშშ - 39 ოქროს მედალი და პირველი ადგილი, მეორე ადგილი - ჩინეთი (33), მესამე – საფრანგეთი (29).

პარიზში 26 ივლისიდან 11 აგვისტოს ჩათვლით 32 სახეობაში მედლების მოსაპოვებლად 206 ქვეყნის 10,5 ათასი სპორტსმენი იბრძოლებს.

ტოკიოს წინა ოლიმპიადაზე, რომელიც პანდემიის გამო არა 2020 წელს, არამედ 2021 წელს გაიმართა, ქართველმა სპორტსმენებმა რვა მედალი მოიპოვეს - ორი ოქრო, ხუთი ვერცხლი და ერთი ბრინჯაო ძიუდოში, ძალოსნობასა და ჭიდაობაში.

რვა მედლიდან ნახევარი ქართველი ძიუდოისტებისაა: ლაშა ბექაური (-90 კგ) ოქრო, ლაშა შავდათუაშვილი (73 კგ) ვერცხლი, გურამ თუშიშვილი და ვაჟა მარგველაშვილი (+100 და 66 კგ) ბრინჯაოს მედლები აიღეს.

**ვუქომაგოთ ჩვენს ოლიპიელებს!**

**წარმატებები ვუსურვოთ საქართველოს წარგზავნილებს პარიზში!**

## გვესაუბრებიან მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის ხელმძღვანელები

**მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიები წარმოადგენენ საკრებულოს მუდმივმოქმედ ორგანოებს. ისინი იქმნება საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულების ხელშეწყობის, მერიისა და მისი სტრუქტურული ერთეულების, აგრეთვე შესაბამისი მიმართულებით მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით.**

☞6

# ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

**რუბრიკით: „ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან“ გთავაზობთ წერილებს, რომლებიც მომზადებულია საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციების საფუძველზე.**

## თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში

**თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში ახალი საკადრო დანიშვნებია.**

**შექმნილი ვაკანსიების გამო, გამოცხადებული კონკურსის შედეგების საფუძველზე, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის, მანუჩარ რობაქიძის 2024 წლის 4 ივნისის ბრძანებით: სოფო ჩუბინიძე დაინიშნა მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელად, ხოლო მაკა ასათიანი განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღანელად.**



სოფიო ჩუბინიძე

დაიბადა 1985 წლის 24 აპრილს ქ. თერჯოლაში. 2002 წელს დაამთავრა თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ რუფოთის საჯარო სკოლა. 2002-2006 წლებში სწავლობდა ქუთაისის აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, დაამთავრა საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი. ბაკალავრია.

2006-2008 წლებში სწავლობდა და დაამთავრა ქუთაისის აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურა, პროფესია პოლიტიკის მეცნიერება.

2012-2013 წლებში მუშაობდა საერთაშორისო განათლებისა და განვითარების აკადემიის, აღმასრულებელი დირექტორის ასისტენტად. 2013 წლიდან 2024 წლის ივნისამდე თერჯოლის საგანმანათლებლო რესურსცენტრში საქმისწარმოებელია.

2017-2022 წლებში იყო შპს „ელიტ-არეალ“-ის დამფუძნებელი და დირექტორის მოადგილე;

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.



მაკა ასათიანი

**დაიბადა 1974 წლის 2 ივლისს, ქ. თბილისში;**

**1980-1991 წლებში სწავლობდა ღვანკითის საშუალო სკოლაში;**

**1993 -1999 წლებში სწავლობდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე.ფილოლოგიის მაგისტრია;**

**2000 – 2014 წლებში საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის (თერჯოლის სასწავლო ცენტრი) - ლექტორ-მასწავლებელია;**

**2000-2015 წლებში მუშაობდა სოფელ ღვანკითის საბავშვო ბაღში პედაგოგად;**

**2015 -2017 წლებში თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწეა.**

**2018 წლიდან დღემდე არის ცესკოს ტრენერია და 2023 წლამდე თერჯოლის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი;**

**2020 წლიდან 2024 წლის ივნისამდე მუშაობდა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწედ;**

**ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და შვილიშვილი.**

**P.S. 2 ივლისს, ქალბატონ მაკას დაბადების დღე ჰქონდა. საუკეთესო სურვილებით ვულოცავთ მას ნახევარსაუკუნოვან იუბილეს და ახალ თანამდებობაზე დანიშვნას.**

**„თერჯოლა“**

**P.S. ქალბატონებს—მაკა ასათიანს და სოფიო ჩუბინიძეს ვულოცავთ მუნიციპალიტეტის მერიის მეტად მნიშვნელოვანი სამსახურების ხელმძღვანელებად დანიშვნას. ვუსურვებთ, რომ მათ წარმატებით გაერთვათ თავი დაკისრებული მოვალეობების შესრულებისათვის.**

## მეხანძრე-მაშველთა დღე

12 ივნისს საქართველოში მეხანძრე-მაშველის დღე აღინიშნება.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ და საკრებულოს თავმჯდომარე-გიორგი ბარათაშვილმა პირადად მიულოცეს ეს დღე თერჯოლელ მეხანძრე-მაშველებს.

**„მეხანძრე-მაშველებო, გილოცავთ პროფესიულ დღეს! იყო მეხანძრე-მაშველი, ეს უდიდეს სიმამაცეს, თავგანწირვას და მოყვასისადმი უანგარო სიყვარულს მოითხოვს.**

**მეამაყებით თითოეული თქვენგანი. უმნიშვნელოვანესია თქვენი თავდადება და ის სიკეთე, რასაც ყოველდღიურად აკეთებთ, რაც ცხოვრების წესად გაქვთ ქცეული.**

**კიდევ ერთხელ გილოცავთ ამ დღეს, მხნეობას, ჯანმრთელობას და წარმატებას გისურვებთ“**—მიმართა მათ მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ.

## თანადგომა ბავშვიან ოჯახებს

თერჯოლის მუნიციპალიტეტში გრძელდება ბავშვიან ოჯახებზე საყოფაცხოვრებო ტექნიკის გადაცემა.

მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დავით გოგბერაშვილთან ერთად, ამჯერად, სოფელ ალისუბანსა და თუზში ორ ბენეფიციარს ესტუმრა და საოჯახო ტექნიკა პირადად გადასცა. ისინი ამ ოჯახებს სამომავლოდაც დაჰპირდნენ მხარდაჭერას.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების პროგრამა უკვე მეორე წელია რაც აქტიურად ხორციელდება.

აღნიშნული პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში მცხოვრებ, ყველაზე მოწყვლად ჯგუფებს დაეხმაროს პირველადი მოხმარების ნივთების შეძენაში.

## გაციფრულების პროცესი დამთავრდა

სოფელ სიმონეთში, დავით და სერგო კლდიაშვილების სახლ-მუზეუმში აქტიურად მიმდინარეობდა ძველი ექსპონატების გაციფრულების პროცესი.

მწერლის ბიბლიოთეკაში არსებულ ყველა წიგნს, დოკუმენტს, ფოტოს თუ პირად წერილს უკვე აქვს ელექტრონული ვერსია.

პროექტი საქართველოს ლიტერატურის მუზეუმის ორგანიზებით განხორციელდა და მისი მიზანი იყო მწერლის ძველი, უნიკალური ხელნაწერების და ფოტოსურათების ელექტრონული არქივის შექმნა.

როგორც მუზეუმში აცხადებენ, ხელნაწერთა გაციფრულება გაზრდის ხელმისაწვდომობას და ბევრად უფრო მარტივი იქნება ნებისმიერი ხელნაწერის და დოკუმენტის მოპოვება. სერვისის გაციფრულება ხელს შეუწყობს მუზეუმის პოპულარიზაციას.

დაინტერესებულთ უკვე შეუძლიათ ისარგებლონ შექმნილი ციფრული ბაზით.

## მიეძღვნა ოლიმპიურ დღეს

თერჯოლაში მსოფლიო ოლიმპიურ დღესთან დაკავშირებით, სხვადასხვა სპორტული აქტივობები გაიმართა. ტრადიციულმა მარათონულმა გარბენმა სტარტი ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე აიღო, მასში ახალგაზრდებთან ერთად მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა.

ამ დღესთან დაკავშირებით, მერიის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყო შიდა ტურნირი ჭადრაკში და სამოყვარულო ტურნირი ნარდსა და შაშში.

მინი საფეხბურთო მოედანზე გაიმართა ამხანაგური მატჩი ნორჩ იუნკერებს შორის. მატჩი გაიხსნა ადგილობრივი ტანმოვარჯიშე გოგონების შთამბეჭდავი ნომრით.

შეჯიბრების მონაწილეებს და გამარჯვებულებს სამახსოვრო საჩუქრები, მედლები და სიგელები გადაეცათ.

ღონისძიება თერჯოლის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით მოეწყო.









# საქართველო ევრო 2024-ის აღმოჩენა!

## „ქართველებმა ჩვენი გულები მოიგეს!“

**მართალია, საქართველოს საფეხბურთო ნაკრებისათვის პირველი ევროპული—უკვე ისტორიული ჩემპიონატი მერვედფინალში დამთავრდა, მაგრამ მონაწილე გუნდების, მათი მწვრთნელებისა და ფეხბურთელების, ევროპელი და მსოფლიო მასშტაბით ფეხბურთის აღიარებული სპეციალისტებისა და მასმედიის ცალსახა შეფასებით, საქართველოს ნაკრებმა, როგორც შესარჩევ, ისე ჩემპიონატის თამაშებზე აჩვენა ისეთი ფეხბურთი, რომელმაც მოხიბლა მილიონობით ადამიანი.**

ჩვენი ფეხბურთელების მისამართით საქებარი და კეთილი სიტყვები არ დაუშურებია არავის. ჩვენების გამოსვლით აღფრთოვანებულნი და გაოცებულები დარჩნენ არა მარტო ქართველების გულშემატკივრები, არამედ მოწინააღმდეგე გუნდის წევრები და ქომაგებიც კი...

ჯგუფურ ეტაპზე ჩვენგან დამარცხებულმა, მსოფლიოში ერთ-ერთმა უძლიერესმა გუნდმა, პორტუგალიის ნაკრებმა და მისმა გულშემატკივრებმა, ათასობით ქართველ ქომაგთან ერთად მოედნიდან გულწრფელი ოვაციებით გააცილეს ნაკრების ფეხბურთელები, რომლებმაც მატჩის დამთავრების შემდეგ ორიგინალურად მოუხადეს მადლობა გულშემატკივრებს და მათთან ერთად შემართებით იმღერეს საქართველოს ჰიმნი.

აღარ მოვიყვანთ ცალკეულ გამონათქვამებსა და შეფასებებს, რომლებიც მილიონობითაა, რადგან ის სიტყვები, ამ წერილის სათაურში რომ გვაქვს გამოტანილი, ყველაზე კარგად ასახავენ ქართველების თამაშის და გულშემატკივრების განსაკუთრებულობას ევრო-2024-ზე.

დავამატებთ მხოლოდ იმას, რომ ჩვენებმა ითამაშეს ის ფეხბურთი, რომელიც ასე მონატრებია მთელ მსოფლიოს, ითამაშეს ჩვენებური, ქართული—ტექნიკური და შემტევი, ორიგინალურიც და კომბინაციურიც, სწრაფი და ფეთქებადიც. სწორედ ამიტომ მოხდა ის რაც მოხდა—ჩვენს თვალწინ, **ხვიჩა კვარაცხელიასთან** ერთად გაბრწყინდნენ მსოფლიო მასშტაბის ახალი საფეხბურთო ვარსკვლავები: მეკარე, ნაკრების კარის საიმედო მცველი **გიორგი მამარდაშვილი** და სხვადასხვა პოზიციებზე მოთამაშე ფეხბურთელები: **გიორგი მიქაუტაძე, გურამ კაშია, გიორგი გველესიანი, გიორგი ჩაკვეტაძე, გიორგი ქოჩორაშვილი, სოლომონ კვირკველია, ოთარ კიტეიშვილი, გიორგი გოჩოლეიშვილი, ანზორ მექვაბიშვილი, ლაშა დვალი, ნიკა კვეკვესკირი, ზურიკო დავითაშვილი, ბუდუ ზივზივაძე** და სხვები, რომლებმაც არა მარტო გამორჩეულად საინტერესო და ლამაზი ფეხბურთი აჩვენეს მაყურებელს, არამედ ისიც დაგვიმტკიცეს, რომ არიან საქართველოს გამორჩეული შვილები, გულმხურვალედ უყვართ სამშობლო, უყვართ ფეხბურთი, გულშენატკივრები და ერთმანეთი, არიან ერთიანობის საუკეთესო მაგალითი, პატივს სცემენ და აფასებენ მოწინააღმდეგეს...

საჩემპიონატო დღეებში, უცხოელებზე ასევე განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა ნაკრების ათასობით ქომაგმა, ვინც ჩვენი ეროვნული დროშებით, სიმღერებით, შეძახილებით, მატჩების წინა მასიური მსვლელობებითა და ორგანიზებულობით კარგად დაამახსოვრეს თავი ჩემპიონატრის მასპინძლებსა და ჩემპიონატზე ჩამოსულ უცხოელ გულშემატკივრებს სხვა ქვეყნებიდან.

რა თქმა უნდა, ძალიან სასიხარულო და საამაყოა, როცა სხვა ქვეყნის ქუჩაში საქართველოს დროშით მიდიხარ და მხარდაჭერისა და მოწონების ნიშნით გხვდებიან უცხოელები.

ეს დღეები, რომლებიც ჩვენი საფეხბურთო ახალი ისტორიის პირველი დიდი ნაწილია, შექმნა სწორედ ჩვენმა—ახალი თაობის ეროვნულმა ნაკრებმა, შევქმენით ჩვენც—ყველამ ერთად და მაგრამ ისე არ არის, როგორც მათთვის საყვარელ სიმღერაშია ზღაპრის ბოლო კეთილიაო—არამედ ის რაც მოხდა არის დიდი მომავალი წარმატებების დასაწყისი, რაც ასე მოგვნატრებია ჩვენ—ყველას ერთად!

ფეხბურთმა ამ დღეებში ბევრი რამ მოგვცა—შეგვმატა მომავლის რწმენა, გულშემატკივრებმა სწორედ ეს იგრძნეს ჩვენი ბიჭების თავდადებულ-ბრძოლით უპირველესად.

სწორედ, ამიტომ მოვედით ათიათასობით დედაქალაქის ცენტრში—თბილისში, თავისუფლების მოედანზე, საყვარელ ფეხბურთელებთან მოწყობილ გრანდიოზულ შეხვედრაზე, სადაც მათ ხალხის ოვაციებიც და კეთილი სიტყვებიც უხვად მოისმინეს, პრემიერ- მინისტრისა და პრეზიდენტის მადლობაც და დამსახურებული ჯილდოები—ღირსების ორდენები და მედლებიც მიიღეს...

მადლობა ბიჭებო!

გახსოვდეთ, თქვენ და ჩვენ საქართველო ვართ!

**დავით კლდიაშვილი**

---

**ახლა კი რა თქვეს ევრო 2024-ის შედეგებზე ნაკრების მწვრთნელმა და ფეხურთელებმა:**

**ვილი სანიოლი:** „ჩვენ ძალიან გვიხარია და ვამაყობთ იმით, რაც გავაკეთეთ. მხოლოდ თამაშგარე მდგომარეობაზე საუბარი არ



მსურს, მაგრამ გოლის დროს ოფსაიდი აუცილებლად იყო. თუ ის დაფიქსირდა საფრანგეთის ნაკრების მატჩში, იყო ახლაც. VAR-ი ძალიან კარგი და ევოლუციური გამოგონებაა, თუმცა მაინც არ ვიცით, ის სწორად როგორ გამოვიყენოთ.

ჩვენ დღეს დავასრულეთ ევროპის ჩემპიონატი და მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე საუბარი ძალიან ადრეა.

იყო კარგი და ცუდი მომენტები, ახლა მთავარია ყველანი დავსხდეთ და ყველაფერი გავარჩიოთ. ფეხბურთელებით ძალიან ვამაყობ. ახლა გზის დასასრულისკენ მივედით, მაგრამ იმედი მაქვს, მომდევნო გზა უფრო კარგი იქნება. ევროზე ფანტასტიკური გუნდური თამაში გვქონდა. იმედგაცრუებულები არა, მაგრამ დამწუხრებული ვართ. რამდენიმე დღეში გავიაზრებთ, რაც გავაკეთეთ და ისევ ბედნიერები ვიქნებით.

დღევანდელი მატჩიდან ჩემმა ფეხბურთელებმა ერთი რამ უნდა ისწავლონ, ამ დონის მატჩისთვის 100 პროცენტით მზად უნდა ვიყოთ. ეს ყველას გვეხება - ფედერაციასაც, მეც. ჯერ უნდა დავაფასოთ ეს მომენტი და შემდეგ ვისწავლოთ მისგან.

პირველი ტაიმი რომ მოგვეგო, მეორე ტაიმში მეტი ენერგია გვექნებოდა. ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელი, ოთარ კიტეიშვილი დაგვიშავდა. ესპანეთის ნაკრებმა გამარჯვება დაიმსახურა.

ბევრი ვიშრომეთ იმისთვის, რათა აქამდე მოვსულიყავით. მაქსიმალურად ვეცდებით, ფინალურ ეტაპზე ისევ ვითამაშოთ. გვინდა ქართველ გულშემატკივრებს მივცეთ შანსი დიდ სტადიონებზე ისევ იყვნენ და ეროვმული ჰიმნი იმღერონ“.

**გიორგი მიქაუტაძე:** „რა თქმა უნდა, დამწუხრებული ვართ იმით, რომ ევრო 2024-ს დავემშვიდობეთ, მაგრამ ამავდროულად, ძალიან მადლიერნი და ამაყნი ვართ, რადგან სადებიუტო სანაკრებო ტურნირზე საქართველოს მაისური, მთელი ევროპის თვალწინ, ღირსეულად წარმოვაჩინეთ. ამაყნი ვართ, რადგან საქართველოსა და მის საზღვრებს მიღმა



უდიდესი ენთუზიაზმი გამოვიწვიეთ. ამაყნი ვართ, ამ საოცრად ერთიანი გუნდისა და უძვირფასესი პერსონალის გამო, რომელიც ნაკრებში მუშაობს.

უთვალავი მადლობაც კი არ იქნება საკმარისი, რათა ჩვენი მადლიერება გადმოგცეთ. თქვენ, ქომაგები ჩვენი მთავარი ძალა იყავით. ვერც კი წარმოიდგენთ, რამხელა პატივია თქვენთვის სიხარულის მოტანა და თქვენს თვალებში ემოციების დანახვა.

საქართველო შესანიშნავი ქვეყანაა!

ყველაზე მეტად გვიყვარხართ!

უფრო ძლიერები დავბრუნდებით!

ჩვენ საქართველო ვართ!

ძალა ერთობაშია!“

**ხვიჩა კვარაცხელია:** „ამაყები და თავაწეულები ვტოვებთ ევ-



როპის ჩემპიონატს! უამრავი საოცარი ემოციით და მოგონებით. ჩვენს ხალხს და ქვეყანას ბევრი სიხარული და სიამაყის წუთები ვაჩუქეთ, ამით ყველაზე ბედნიერი ვარ, როცა ვხედავდი ტრიბუნებზე, ტელევიზორებთან, ქუჩებში გახარებულ ქართველებს.

მინდა მადლობა გითხრათ ყველას, ვაგრძელებთ შრომას, განვითარებას და დაგიბრუნდებით უფრო ძლიერები“.

**ბუდუ ზივზივაძე:** „მადლობას გვუხდი ყველა გულშემატკივარს, ვინც აქ იმყოფებოდა და



ვინც საქართველოდან გვგულშემატკივრობდა. დიდი მხარდაჭერა იგრძნობოდა მათგან. მათ გარეშე ამ შედეგის მიღწევა გაგვიჭირდებოდა. თავს ისე ვგრძნობდით თითქოს თბილისში ვთამაშობდით. ვეტყვი მათ, რომ იამაყონ ამ გუნდით, რადგან საამაყო გუნდი გვყავს და ამაყი ვარ, რომ ამ გუნდის ნაწილი ვარ.

აქ მწვრთნელი იღებს გადაწყვეტილებებს. ყველა ფეხბურთელს სურს, რომ ბევრი ითამაშოს, თუმცა მწვრთნელმა ასე გადაწყვიტა ამ ევროპის ჩემპიონატზე და როგორც პროფესიონალი მის გადაწყვეტილებას პატივს ვცემ. იმ რამდენიმე წუთისთვისაც, რაც ვითამაშე ბედნიერი და მადლობელი ვარ მისი“.

**გიორგი მამარდაშვილი:** „გაჩერებას არ ვაპირებთ, ეს არ არის დასასრული! ეს არის დიდი რაღაცის დასაწყისი!

ქართველ ხალხს მოვუწოდებთ, რომ ჩვენს გვერდით დარჩეს,



მხარი დაგვიჭიროს და ჩვენი დაიჯეროს, რაგდან გაჩერებას არ ვაპირებთ.

ევრო 2024-მა მთელ ქვეყანას დიდი რაღაც უნდა მისცეს და საქართველოში ბევრი რამ უნდა გაკეთდეს.

ყველამ დავინახეთ, ქართველ ხალხს როგორ უყვარს ფეხბურთი და გამოჩნდა, ფეხბურთს რა შეუძლია. ამ ოთხი თამაშის განმავლობაში მთელი საქართველო ერთიანი იყო და მთელი ქვეყანა ფეხბურთზე საუბრობდა“.

* * *

ჩვენ გვჯერა თქვენი!



თერჯოლაში ორ ლოკაციაზე ხდებოდა ჩემპიონატის მატჩების საჯაროდ ჩვენება—ლაშა გოგიაშვილის სახელობის სკვერსა და სპორტის სასახლეში. ამ დღეებში მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებთან ერთად აქ, უამრავმა მაყურებელმა გამოხატა ნაკრების მხარდაჭერა.

# მეოთხეკლასელების გამოსაშვები საღამოები...

**დასრულდა 2023-24 სასწავლო წელი. მეთორმეტეკლასელებმა სკოლის დამთავრება იზეიმეს, მომავლის იმედით და სიყვარულით დაემშვიდობნენ მშობლიურ სკოლებსა და აღმზრდელ-პედაგოგებს, თან კი უამრავი კეთილი სურვილი, სიყვარული და ლოცვა-კურთხევა ისაგზლეს...**

**იზეიმეს მეოთხეკლასელებმაც, რომლებმაც წარმატებით დაასრულეს სასკოლო ცხოვრების პირველი ეტაპი, დაემშვიდობნენ პირველ მასწავლებლებს, რომლებიც ოთხი წლის განმავლობაში დედობრივი სიყვარულითა და მზრუნველობით „დედაენის“ სიტკბოსა და სიბრძნეს აზიარებდნენ, ცოდნის ულამაზეს სამყაროში დაატარებდნენ და მათი განათლებისაკენ, სამყაროს შეცნობისა და აღქმისაკენ მიმავალ გზაზე პირველი ულამაზესი და უმნიშვნელოვანესი ნაბიჯების გადადგმაში ფასდაუდებელ ენერგიასა და შრომას დებდნენ.**

**დიახ, მეოთხეკლასელებსაც ნამდვილად ჰქონდათ ზეიმის საბაბი და უნდა ითქვას, რომ მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლაში, წელს განსაკუთრებული ძალისხმევით, მაღალ დონეზე მომზადებული ღონისძიებებით აღნიშნეს სასკოლო ცხოვრების ახალ ეტაპზე გადასვლის დასაწყისი.**

**„თერჯოლას“ ჰქონდა შესაძლებლობა ენახა ის ლამაზი საღამოები, რომლებიც მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის საკონცერტო დარბაზში გაიმართა და პირველ მასწავლებელთან დამშვიდობებას მიეძღვნა ქ. თერჯოლის №1 და №2 საჯარო სკოლებში.**

## „ნათელი იყოს შენი ცხოვრების გზა“

7 ივნისი. ხალხმრავლობაა მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის კეთილმოწყობილ ეზოსა და სააქტო დარბაზში. დღეს აქ მასპინძელი ქ. თერჯოლის №1 საჯარო სკოლის IVა კლასია, პედაგოგ ნანა ჭანტურიძესთან ერთად. აქ არიან სკოლის დირექცია და პედკოლექტივი, მოსწავლეთა მშობლები, მოწვეული სტუმრები, მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელები.

საზეიმო საღამო სათანადო მუსიკით „ტელემაყურებლებისადმი“ მიმართვით დაიწყო, სკოლის ეზოში ნაპოვნი გაურკვეველი სკივრის თაობაზე. მეოთხეკლასელებმა ნანა მასწავლებელთან ერთად უნდა გაიგონ რა დევს სკივრში.

ნანა მასწავლებელი სათანადო რესურსებით გაფორმებულ სცენაზე მოიხმობს მოსწავლეებს, რომლებიც ცეკვებით, უაღრესად ლამაზი, თავისუფალი ჟესტებით შემოდიან, ესალმებიან და მათთვის განკუთვნილ ადგილებს იკავებენ. შემდეგ შესწავლილი საგნების მიხედვით დაყოფილი ხუთი ჯგუფი—ქართულის, მათემატიკის, ბუნების, მე და საზოგადოების და ხელოვნება-მუსიკის შეეცდება შეასრულოს დავალება და აღმოაჩინოს სიტყვა, რომელიც დაეხმარებათ იმის გარკვევაში—რა დევს სკივრში.

თითოეულ ჯგუფში ლამაზი ეტიუდებით და ამოსაცნობი, სახალისო მინიშნებებით მსჯელობენ და პოულობენ თითოეულ იმ ასო-ბგერას, რომელთა ერთობლიობამ უნდა შექმნას უმთავრესი ჯადოსნური სიტყვა.

ყველა ჯგუფმა საინტერესო და მხიარული მსჯელობით, შეძლო დავალების შესრულება. ასე მიიღეს სასურველი სიტყვა „ცოდნა“. ამასთან ერთგვარად შეაჯამეს და გამოავლინეს ოთხი წლის განმავლობაში აღნიშნულ საგნებში მიღებული განათლება.
















„ძვირფასო ბავშვებო, ყველას მადლობა ამ საოცარი სიტყვის პოვნისათვის (ამ სიტყვებით მასწავლებელი ხსნის სკივრს, სადაც 27 გასაღებია წარწერებით „ნათელი იყოს შენი ცხოვრების გზა“).

ეს 27 გასაღები ცოდნის გასაღებია, რომელიც თითოეულ თქვენგანს გეკუთვნით. ეს არის სიმბოლო იმ მიღებული ცოდნისა, რომელიც თქვენ დიდი შრომითა და სწავლით წვეთ-წვეთად დააგროვეთ 4 წლის მანძილზე, მომავალში სწორედ ეს ცოდნა გაგიკვალავთ გზას მომავალი წარმატების მწვერვალებისაკენ. მინდა წარმატებები გისურვოთ. იმედს ვიტოვებთ, რომ ცოდნას, რომელიც ჩვენ ერთად დავაგროვეთ, გაზრდით და გამოიყენებთ ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ“.

ღონისძიება მუსიკალური გაფორმებით და მხატვრული ნომრებით იყო ძალიან ლამაზი და მიმზიდველი.

მაყურებლები აპლოდისმენტებით აჯილდოვებდნენ ცეკვების „მთიულურის“, „აჭარულის“ შემსრულებლებს, ასევე გოგონებისა და „ბურატინოს“ ცეკვებს.

ვაჟების მიერ „აფხაზეთზე“ შესრულებული სიმღერა ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს, მშობლებთან ერთად შესრულებული ვალსი და საფინალო „გზა დაგვილოცე“ ლამაზად ასრულებს მხატვრულ თუ შემეცნებით ნომრებს.

შემდეგ იყო მოსწავლეებისათვის სიგელების გადაცემა თითოეულის მახასიათებლების მიხედვით, მასწავლებლის მიერ სახალისოდ მინიჭებულ ნომინაციებში: გიორგი ასათიანი—„წლის კაპიტანი“, ონისე ასამბიანი—„გულმხურვალე პატრიოტი“, ანამარია ანაკიძე—„საუკეთესო მსახიობი“, მარიამ ნამგალაძე—„ენერგიული“, ანდრია ხვარეშია—„წლის პოზიტივი“, ანდრია ბოჭორიშვილი—„მოუსვენარი“, ბარბარე დიაკონიძე—„ყველაფრის მცოდნე“, გაბრიელ კლდიაშვილი—„მომავალი კავარაცხელია“, თეკლა რობაქიძე—„მომავალი კოსმეტოლოგი“, თეკლა სოფრომაძე—„მომავალი მათემატიკოსი“, თორნიკე გაბეხაძე—„წლის სიმპათია“, თეკლა კირკიტაძე—„ლამაზთვალება“, ანამარია გაბეხაძე—„წლის სიკეთე“, ნანუკი სირაძე—„წლის სერიოზულობა“, ზურა კუტივაძე—„საიმედო მეგობარი“, თეკლა გეწაძე—„კლასის პრანჭია“, ელენე სირაძე—„კეთილი მაშველი“, ნანა მაკარიძე—„წლის სიმშვიდე“, ნია დევიძე—„მომავალი მწერალი“, ეფემია სვიანაძე—„წლის ჰარმონია“.

ნანა მასწავლებელი მოსწავლეებს სამახსოვრო ალბომებსაც გადასცემს.

სიგელები გადაეცათ აგრეთვე №1 საჯარო სკოლის დირექტორს ელისო მურადაშვილს ნომინაციაში: „ყველაზე მიზანდასახული და შედეგზე ორიენტირებული დირექტორი“, ჩხარის საჯარო სკოლის დირექტორს კობა ბარდაველიძეს ნომინაციაში „საუკეთესო მასპინძელი“, თერჯოლის №1 საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგს უჩა გვენეტაძეს, ნომინაციაში „ცოდნის საგანძურისაკენ გზის გამკვალავი“.

საკმაოდ დიდი იყო მათი სია, რომელთა მისამართით სამადლობელი გამოთქვა ნანა მასწავლებელმა. უპირველესად ესენი იყვნენ მოსწავლეები, მათი მშობლები, №1 საჯარო სკოლის დირექცია, პედაგოგები, რესურსცენტრის ხელმძღვანელობა, მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელები.

ღონისძიების მომზადებაში გაწეული დახმარებისთვის მადლობა გადაუხადა მასწავლებლებს: თამუნა ჭანკვეტაძეს, სოფო ქავთარაძეს, თავის ყოფილ მოსწავლეებს: თეკლა გაბეხაძეს, მარიამ ორბელაძეს, გიორგი ხუჯაძეს.



მეოთხეკლასელებს სწავლის ახალ საფეხურზე გადასვლა მიულოცეს და საუკეთესო სურვილები, გულის სითბო და სიყვარული მიუძღვნეს სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა ელისო მურადაშვილმა, განათლების რესურსცენტრის დირექტორმა ქალბატონმა ქეთევან შეყრილაძემ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ბატონმა გია ბარათაშვილმა და მუნიციპალიტეტის მერმა ბატონმა მანუჩარ რობაქიძემ.

ღონისძიება დაასრულა მშობლის სოფო ბანძელაძის სამადლობელმა, რომელმაც მშობელთა სახელით ☞5

# მეოთხეკლასელების გამოსაშვები საღამოები...

4☜

## ნათელი იყოს შენი ცხოვრების გზა

ნანა მასწავლებელს ოქროს ვარსკვლავი გადასცა საჩუქრად და ლამაზი, გულწრფელი სიტყვებით მიმართა მას და მასთან ერთად ყველა მასწავლებელს, რომლებიც მეოთხეკლასელთა სწავლებაში იყვნენ ჩართულნი, მოეფერა და გზა დაულოცა მოსწავლეებს:

„მადლობას გიხდით მშობლების სახელით ყველა იმ პედაგოგს, ვინც ჩვენი შვილების საგაკვეთილო პროცესში ღებულობდით მონაწილეობას.

ქალბატონო ნანა, ჩვენი შვილები არა მარტო იის სურნელს და ქართული სიტყვის ლაჟვარდს აზიარეთ, არამედ გამოუმუშავეთ ის საუკეთესო უნარ-ჩვევები, რომ ყოფილიყვნენ კომუნიკაბელურები, უყვარდეთ ერთმანეთი, გასცენ სითბო, აკეთონ სიკეთე, დაიცვან ეროვნული ღირსებები, რათა ჭეშმარიტ ადამიანებად ჩამოყალიბდნენ. მე პირადად მქონდა პატივი ვყოფილიყავი საგაკვეთილო პროცესში ჩართული მშობელი—ერთხელ როგორც წითელქუდა, ერთხელ როგორც ყვავილი—ია. ისეთი გრძნობები და ემოციები მაჩუქეთ, რომელიც არასოდეს დამავიწყდება.

ქალბატონი ელისო, სწორედ მაშინ გავიცანი, რა თბილი და თავმდაბალი ადამიანი ყოფილხართ. მინდა გისურვოთ ჯანმრთელობა, მრავალი თაობის დაფრთიანება, აწ უკვე განახლებულ პირველ საჯარო სკოლაში, რომელიც დედოფალივით დგას ქალაქის ცენტრში და ეს იქნება გვირგვინი ჩვენი კოხტა და კოპწია თერჯოლისთვის.

თქვენთან თხოვნა მაქვს პატარებო, ამაგი დაუფასეთ მასწავლებელს. ქალბატონი ნანა თავისი საქმიანობის 40 წელს ითვლის, ხოლო ეს პატარები მისი მე-8 გამოშვებაა, მე კი პატარა ლექსით მინდა მოგეფეროთ და გზა დაგილოცოთ:

ჩემო ტკბილო მალხაზებო,
თვალმერცხლებო,
თვალნაზებო,
ჩვენი ქვეყნის ტკბილო
რთველნო,
სიყვარულით
დასათვლელნო.
სიხარულით, სიყვარულით,
სულ ბედნიერ გზებზე
გევლოთ,
ისწავლოთ და ასახელოთ
ჩვენი ტურფა საქართველო“.

ლამაზი მუსიკის ფონზე დაემშვიდობნენ პირველ მასწავლებელს აღსაზრდელები, მასწავლებელი კი, ახალი თაობის აღზრდას ჩაიბარებს და მათი სწავლა-აღზრდა ჩვეული, დედაშვილური სიყვარული ისევ დედაენასთან ერთად დაიწყება...

## „ჩვენ მოვალთ და ჩვენი ძალით გავიტანთ ლელოს“

14 ივნისს ისევ აივსო მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის ეზო და შემოგარენი, ისევ გადავსებული და ლამაზად მორთული საკონცერტო დარბაზი, ისევ სილამაზით, სიყვარულით და უსაზღვრო ემოციებით ავსებული დიდები თუ პატარები, სტუმრები თუ მასპინძლები.

დღეს ქ. თერჯოლის №2 საჯარო სკოლის მეოთხეკლასელები თავიანთ პირველ მასწავლებელს ემშვიდობებიან და ზეიმით აღნიშნავენ განათლების პირველი საფეხურის დამთავრებას, რომლებმაც გამოსაშვებ ღონისძიებაზე მოიწვიეს მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოსა და განათლების რესურსცენტრის ხელმძღვანელი მუშაკები. აქ არიან სკოლის დირექციისა და პედკოლექტივის მთლიანი შემადგენლობა, მშობლები.

მუსიკის ფონზე სცენაზე უხმობენ მასწავლებელს ქალბატონ ქეთევან გეწაძეს თავის აღსაზრდელებთან ერთად.

სკოლის დირექტორი ქალბატონი რუსუდან უსუფაშვილი მიესალმა და მადლობა გადაუხადა მოწვეულ სტუმრებს, მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოსა და განათლების რესურსცენტრის ხელმძღვანელებს, საჯარო მოსამსახურეებს, სკოლის პედაგოგებს, მოს-



წავლეთა მშობლებს, მიესალმა აგრეთვე მეოთხეკლასელებს, წარმატება უსურვა თითოეულს.

ლამაზი მუსიკის ფონზე მასწავლებელთან, ქალბატონ ქეთევან გეწაძესთან ერთად სცენას იკავებენ ლამაზად შემოსილი გოგო-ბიჭები. ისინი, სულაც არ გვანან იმ პატარა თვალცრემლიანებს ოთხი წლის წინ, 2020 წლის სექტემბერში დედებმა ხელჩაკიდებულები რომ მოიყვანეს. შემდეგ როგორც ხდება, მასწავლებელმა დედობრივი სიყვარულითა და მზრუნველობით მიიღო, თითოეულს თავისი ადგილი მიუჩინა, მიეფერა, მიესათუთა და ასე დაიწყო პატარების ცოდნის ტაძრისაკენ ნაბიჯნაბიჯ სვლა.

ოთხმა წელიწადმა მალე გაიარა, მოსწავლე-მასწავლებლის ოთხწლიანმა ურთიერთობამ კი უამრავი ლამაზი დღე მიითვალა, დაუვიწყარი და ღირსახსოვარი, საინტერესო და მნიშვნელოვანი, მთელი ცხოვრება რომ გამოადგება თითოეულ აღსაზრდელს არა მხოლოდ სწავლის შემდგომ საფეხურზე, არამედ მთელი ცხოვრების მანძილზე...

მაყურებლები აღტაცებული ადევნებენ თვალს ლიტერატურულ-მუსიკალურ კომპოზიციას, რომელიც თავისი შინაარსით კარგად გადმოსცემს მეოთხეკლასელთა განცდას, მადლიერებას, სიყვარულს და უღრმეს პატივისცემას სკოლისა და აღმზრდელისადმი, სამშობლოსადმი, მისი აწმყოსა და წარსულისადმი, მამულისათვის თავდადებულთა და იმ გმირებისა და ქვეყნის წინამძღოლთა მისამართით, რომელთა მეოხებითაც ეს პატარა, ულამაზესი ისტორიის, ტრადიციებისა და დიდი კულტურული მემკვიდრეობის ქვეყანა ერგოთ წილად...

ლამაზი ლექსები, ტექსტები და გულწრფელი გული მიუძღვნეს სამშობლოს, მამულს...

მადლობა არაერთგზის გადაუხადეს მასწავლებელს, რომელმაც ჯერ კიდევ პატარებს ენის, მამულის, სარწმუნოების სიყვარულს აზიარა და სამშობლოს სიყვარულითა და მისთვის თავდადების მაგალითები ასაგზლათ...

იყო სიყვარულის განცხადებაც და დაპირებებიც, რომ კარგად ესმით ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის აუცილებელია და დასაბრუნებელი სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ტკივილი, რომ გოჯ მიწასაც არ შეარჩენენ მტერს, მოუვლიან და უპატრონებენ წინაპართა დანატოვარ მამულს...



ლამაზი სიტყვებით და სიმღერებით მოეფერენ დედაენას, ანბანს... ღონისძიებას ხიბლს სძენდა, გოგო-ბიჭების მიერ შესრულებული სიმღერისა და ცეკვის არაერთი ულამაზესი ნომერი...

ყველაფერი, ძალიან, ძალიან ლამაზად გამოუვიდათ.

ღონისძიებას სიმღერითა და ცეკვით მშობლებიც უერთდებიან, ძალიან ლამაზი სანახავია და მოსასმენი ერთობლივად შესრულებული ნომრები.

„ჩვენ მოვალთ და ჩვენი ძალით გავიტანთ ლელოს“... ამ სიტყვებით, ეროვნული დროშებითა და „მრავალჟამიერით“ დაასრულეს, ლამაზად დაწყებული საღამო მეორესკოლელმა მეოთხეკლასელებმა.

შემდეგ იყო გზის დალოცვა. „მე მუდამ თქვენი პირველი მასწავლებელი ვიქნები“. ემოციისაგან მასწავლებელი ცრემლებს ვერ იკავებს, ვერც მოსწავლეები... დარბაზში მაყურებლებიც...

მასწავლებლისაგან საჩუქრად „ჩხირები“ მიიღეს მომავლის ბარათთან ერთად იმ ლამაზი დღეების გასახსენებლად სკოლაში რომ მათი ყოველდღიურობა იყო. მომავლის ბარათი კი თითოეულს მთელი ცხოვრების მანძილზე შეახსენებს პირველ იმასწავლებლის რჩევა-დარიგებებს.

კიდევ ერთი ლამაზი საღამო შედგა და უმნიშვნელოვანესი იყო მასში თითოეული მეოთხეკლასელის ჩართულობა. დიდია იმედი იმისა, რომ ნუცა აბესაძე, თენგო გიორგაძე, ნინო, ელენე, დავით ბოჭორიშვილები, ლუკა გამეზარდაშვილი, ნია გეწაძე, ლაზარე ილურიძე, შაკო კუბლაშვილი, ბარბარე მაკარიძე, ლიკა მაჩიტიძე, თეკლა პატარიძე, ბარბარე მაკარიძე, ანდრია სუთიძე, გიორგი სოფრომაძე, საბა ქოჩიაშვილი, მარია ქურციკიძე, ანუკი შეყრილაძე, ელენე შავიძე, სანდრო ცხოვრებაძე, მარიამ ხაჭაპურიძე წარმატე-



ბით გააგრძელებენ სწავლას უკვე მეხუთე კლასში და სექტემბერში, ვიდრე ახალ საკლასო ოთახსა და მასწავლებელს მოძებნიან, აუცილებლად ნახავენ და ჩაეხუტებიან თავიანთ პირველ მასწავლებელს.

ახლა კი მათ მეხუთე კლასისაკენ გზას ულოცავენ და ბედნიერ მომავალს უსურვებენ სკოლის დირექტორი ქალბატონი რუსუდან უსუფაშვილი, განათლების რესურსცენტრის დირექტორი ქალბატონი ქეთევან შეყრილაძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის პირველი პირები, ბატონები გია ბარათაშვილი და მანუჩარ რობაქიძე, მადლიერებით, სიყვარულით და საუკეთესო სურვილებით...

**მზია ცქიფურიშვილი**



# გვესაუბრებიან მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის ხელმძღვანელები

## ბიძინა ბუცხრიკიძე: „ერთობლივი მუშაობით ჩვენ თითქმის შეუძლებელი შევძელით“

*ბიძინა ბუცხრიკიძე მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიას 2021 წლიდან ხელმძღვანელობს. იგი პარტია „ქართული ოცნების პროპორციული სიით არჩეული დეპუტატია, არის უმაღლესი განათლებით. დამთავრებული აქვს თბილისის ეკონომიურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტი, გავლილი აქვს „საქართველოს შსს აკადემიის სასწავლო კურსი. სხვადასხვა წლებში მუშაობდა: ქართუ ფონდში შპს „ახალი კაპიტალი—უსაფრთხოების სამსახური“, შსს სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტში, პარტია „ქართული ოცნების“ ინფორმაციული უზრუნველყოფისა და უსაფრთხოების სამსახურში. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლად საკრებულოსა და მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროში.*



* * *

იურიდიულ საკითხთა კომისია, რომელსაც ის ხელმძღვანელობს აკონტროლებს საკრებულოს წევრთა მიერ საქართველოს კანონმდებლობისა და საკრებულოს რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვას, საკრებულოს წარუდგენს წინადადებებს: საკრებულოს წევრის უფლება-მოსილების შეწყვეტის და უფლებამოსილების ცნობის შესახებ. შეისწავლის საკრებულოს წევრის სტატუსთან საკრებულოს წევრის თანამდებობრივი და სამეწარმეო საქმიანობის შეუთავსებლობის საკითხებს, შეისწავლის ფრაქციის რეგისტრაციისათვის საჭირო მასალებს და წარადგენს დასკვნებს, შეიმუშავებს წინადადებებს თვითმმართველი ერთეულის სიმბოლიკის დამტკიცების და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ, თვითმმართველი ერთეულის საპატიო ჯილდოების და წოდებების შემოღების და მინიჭების წესის დადგენის შესახებ, შეიმუშავებს წინადადებებს საჯარო მოსამსახურეთა საკადრო პოლიტიკის განსაზღვრის, სამსახურებრივი ეთიკის, ადამიანური რესურსების მართვის, ატესტაციების და კონკურსების ჩატარების, კვალიფიკაციის ამაღლების და გადამზადების საკითხებზე, კონტროლს უწევს აღნიშნულ სფეროში მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების და გატარებული ღონისძიებების განხორციელებას, ახორციელებს აგრეთვე საკრებულოს რეგლამენტით და საკრებულოს დავალებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

* * *

ბიძინა ბუცხრიკიძე საქმიანად, უნარიანად ხელმძღვანელობს კომისიას, სამუშაო ჯგუფებს, საკონსულტაციო საბჭოს, კონტროლს უწევს კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას. ამასთან იგი, როგორც „ქართული ოცნების“ პროპორციული სიით გასული საკრებულოს წევრი, ეწევა აქტიურ მუშაობას ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში. „როგორც საკრებულოს პარტიული სიის წევრი დეპუტატი, ვფიქრობ უნდა ჩავერთო ყველა ადმისტრაციული ერთეულის, განსაკუთრებით ჩემი სოფლის, ახალთერჯოლის აღმშენებლობისა და განვითარების საკითხში. რასაკვირველია, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, რომლებთანაც მეგობრული და საქმიანი დამოკიდებულება მაქვს. ჩვენი გუნდის წევრები, ახალთერჯოლა-სიქთარვის მაჟორიტარი დეპუტატი, ჯემალ ისაკაძე, ახალთერჯოლის ადმინისტრაციული ერთეულის მერის წარმომადგენელი, გიგა კუბლაშვილი. ასევე ასისტენტები: თემურ ბუცხრიკიძე და მანანა გურული წარმატებით ახორციელებენ დაკისრებულ მოვალეობებს. ცხადია, ერთად ვგეგმავთ, ვმსჯელობთ და განვიხილავთ ყველა იმ საკითხს, რომელიც ჩვენი სოფლის კეთილდღეობისკენაა მიმართული. დაახლოებით 2 წელიწად-ნახევარია, რაც ჩვენს თავზე ავიღეთ სოფელ ახალთერჯოლაზე პასუხისმგებლობა. ამ პერიოდის განმავლობაში ხმამაღლა შემიძლია ვთქვა, შეუძლებელი შევძელით. სოფელს 35 წლის ნანატრი ოცნება აუსრულდა, მოეწყო სასმელი წყლის სისტემა, რომლის ღირებულება 2 500 000 ლარამდე შეადგენს. ეს იყო სოფლისთვის პრიორიტეტული და ამავდროულად აქამდე გადაუჭრელი პრობლემა. ერთობლივმა ძალისხმევამ და თანამშრომლობამ როგორც ადგილობრივ, ასევე ცენტრალურ დონეზე საბოლოოდ შედეგი გამოიღო, ახალთერჯოლის 530 მოსახლეს აქვს მუდმივი სასმელი წყალი. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მეშვეობით და გონივრულად დაგეგმილი მენეჯმენტის საშუალებით, ავაშენეთ სპორტული მოედანი, რომელმაც სოფლის ცენტრში სიცოცხლე დააბრუნა. საბავშვო ბაღისათვის შევიძინეთ ბავშვთა გასართობი ატრაქციონები; ახალგაზრდებისთვის მოვაწყვეთ სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი ტრენაჟორების სახით. სხვადასხვა უბნებში, სადაც პრობლემური ადგილებია, შევიძინეთ და ჩავაწყვეთ ბეტონის სანიაღვრეები, ცხაურები, ხიდ-ბოგირები. მნიშვნელოვან ყურადღებას ვაქცევთ სოციალურ მიმართულებას, მერიის ყველა სოც. პროგრამით შეუძლიათ ისარგებლონ ჩვენმა მაცხოვრებლებმა, რომლებსაც პარტიული კუთხით არასდროს ვარჩევთ. გასულ წელს, მერიის სახლდაზიანების პროგრამის ფარგლებში, დავეხმარეთ არაერთ ჩვენს მოქალაქეს, რომლებსაც დაზიანებული ჰქონდათ საცხოვრებელი სახლები, ხოლო ერთ მათგანს ახლიდან ავუშენეთ. მიმდინარე წელს, კიდევ 2 ახალთერჯოლელს ავუშენებთ და გადავცემთ ახალ საცხოვრებელ სახლს. იმ მოქალაქეებს, რომლებსაც სტიქიური მოვლენების (მეწყერის) შედეგად დაუზიანდათ სახლები, რეკომენდაციას ვუწევთ და ვშუამდგომლობთ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში. ამ პროგრამის მეშვეობით საცხოვრებელი სახლი ( ან და ბინა) შევუძინეთ 8 მოსახლეს. რაც შეეხება მომავალ გეგმებს, სასმელი წყლის სისტემის მშენებლობის გამო, დაზიანებულია როგორც შიდა, ასევე ცენტრალური გზები. აღნიშნული გზების მოსაწესრიგებლად სოფლის მხარდამჭერი პროგრამით გამოყოფილი თანხა—30 000 ლარი მივმართეთ, სადაც მალე მოხდება მთის ქანის შეტანა და დაპროფილება. რაც შეეხება, ცენტრალურ გზებს,



☞9

## გრიგოლ გიორგაძე: „იმედი გვაქვს, რომ ყველა საკითხს განსაზღვრულ ვადებში გადავჭრით“

*გრიგოლ გიორგაძე 2021 წლიდან გოდოგნის მაჟორიტარი დეპუტატია მუნიციპალიტეტის საკრებულოში. განათლების, კულტურის და სპორტის განვითარების კომისიას ხელმძღვანელობს.*
*კომისია განიხილავს და საკრებულოს წარუდგენს წინადადებებს, რეკომენდაციებს და დასკვნებს შესაბამის დარგობრივ მუნიციპალურ პროგრამათა პროექტებზე, სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების არასამეწარმეო იურიდიული პირის შექმნის და მათ ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საკითხებს, ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების, მუზეუმების, თეატრების, გამოფენების, სპორტულ-გამაჯანსაღებელი პროექტების განხორციელების შესახებ, ასრულებს რეგლამენტით და საკრებულოს დავალებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.*



* * *

გრიგოლ გიორგაძემ ჩვენთან საუბარში თქვა: „საკრებულო მაკონტროლებელი ორგანოა და კომისია კონტროლს უწევს ადგილობრივი ხელისუფლების შესაბამის დარგებს: განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრულ სამსახურებს, კომისია შედგება 11 წევრისაგან. სხდომები რეგლამენტის თანახმად იმართება თვეში ერთხელ, შეიძლება ჩატარდეს რიგგარეშე სხდომები თუ ამის საჭიროება იქნება. კომისიის წევრები სრულად არიან ჩართულნი კომისიის მუშაობაში, ესწრებიან სხდომებს და მათი პროფესიებიდან გამომდინარე ეცნობიან შემოსულ წერილებს, წინადადებებს. აქტიურად მონაწილეობენ საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომებზე, სისტემატურად ვეცნობით სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების, სახელოვნებო განათლების, კულტურისა და მუნიციპალური ცენტრისა და ფილიალების, სპორტსკოლის მუშაობას, ყოველწლიურ ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ, ვისმენთ მათ პრობლემებს და ვმუშაობთ აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ერთად მათი გადაჭრის გზებზე.

მუდმივად ვადევნებთ თვალს მუზეუმების, ბიბლიოთეკების, კულტურის სახლის, სამუსიკო, სამხატვრო სკოლის, მოსწავლე -ახალგაზრდობის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებს, ყოველი ახალი წლის ბიუჯეტის შედგენისას, მათ საჭიროებებს ვიხილავთ კომისიის სხდომაზე. როგორც ცნობილია საკრებულოს მიღებული აქვს დებულება „წარმატებული ახალგაზრდების წახალისების შესახებ“, რომლის ფარგლებში ბევრმა თერჯოლელმა ახალგაზრდამ, წარმატებულმა სპორტსმენმა, ოქროსა და ვერცხლის მედალოსნებმა ისარგებლა და ისარგებლებს მომავალშიც.

ალმასრულებელ ხელისუფლებასთან გვაქვს აქტიური კომუნიკაცია. ჩვენი ინიციატივები ყურადღების გარეშე არ რჩება, რაც თავისთავად ჩვენს მოქალაქეებზე ახდენს დადებით გავლენას, შესაბამისად იმ სფეროებზე, რომლებიც კონტროლდება ჩვენი კომისიის მიერ.

კარგი მდგომარეობაა საჯარო და საბავშვო ბიბლიოთეკებში, მაღალია მომსახურების კულტურა, აქ სისტემატურად ეწყობა სხვადასხვა ღონისძიებები, ყურადღების მიღმა არც სასოფლო ბიბლიოთეკებია. პრობლემად რჩება გაუქმებული სასოფლო ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდის საკითხები თუზში, ჩხარში, ზედა სიმონეთში, კვახჭირში, გოდოგანში 27000 წიგნია, მუშაობა ამ საკითხების მოსაგვარებლად უკვე მიმდინარეობს.

აქტიური მუშაობა მიმდინარეობს სამხატვრო სკოლაში, აქ ხშირად ეწყობა მოსწავლეთა ნაშრომების გამოფენები, საინტერესო და შთამბეჭდავი იყო გამოფენა დედის, დედაენის, ბავშვთა დაცვის დღისადმი, თერჯოლობისადმი, საშემოდგომო და საახალწლო გამოფენები. სამუსიკო სკოლაში სწავლას 186 მოსწავლე ეუფლება, კონკურსებში, ფესტივალებში მონაწილეობა აქ არ არის იშვიათი, ხშირად ტარდება კლასის და სხვადახვა კონცერტები. კულტურის სახლში ოთხი ანსამბლი ფუნქციონირებს: მასპინძელო, იამე, იმერეთი და ქორეოგრაფიული ანსამბლი იმერეთი. ანსამბლები მაღალ დონეზე გამოდიან მუნიციპალიტეტში გამართულ ღონისძიებებში, ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში და წარმატებულად.

დავით და სერგო კლდიაშვილების სახლ-მუზეუმში შარშან მიიღეს 131 ორგანიზებული ჯგუფი 2000 და 46 ინდივიდუალური ჯგუფის 291 პირი მიიღეს, სამუზეუმო ფონდებს შეემატა 1 ექსპონატი და 3 სურათის ასლი, განახლდა ინფრასტრუქტურა, ეწყობა პოეზიის საღამოები, შეხვედრები ცნობილ ადამიანებთან, გაფორმდა მეგობრობის მემორანდუმი სხვადასხვა კლუბებთან, იმართება სპექტაკლები, აღინიშნება დავით კლდიაშვილის ხსოვნის საღამოები. შალვა და პეტრე ამირანაშვილების სახლ-მუზეუმში ხშირად იღებენ ექსკურსანტებს, აქტიურად მუშაობს ტურიზმის სამსახური“.

### მაჟორიტარი დეპუტატი— ხალხის სამსახურში

გრიგოლ გიორგაძე ორი მოწვევის მაჟორიტარი დეპუტატია მუნიციპალიტეტის საკრებულოში სოფელ გოდოგნიდან. აქ შედის სოფლები: გოდოგანი, ჭალასთავი, ბროლისქედი, ნაგარევი. 2017 წლიდან გოდოგნის თემში ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა.

2017-18 წწ მოეწყო ნაგარევი, ჭალასთავი, ბროლისქედის დამაკავშირებელი 7 კმ ასფალტო ბეტონის გზა, ეროვნული განვითარების ფონდიდან.

2019 წელს სოფელ გოდოგანში წყალწითელა-ქვაშავა-ხორხის უბანში მოხდა 300-დე ოჯახისთვის სასმელი წყლის მიყვანა. აშენდა რეზერვუარი, დაიქსელა და გამრიცხველიანდა, საქ. წყალგაერთიანების კომპანიის დახმარებით, რომლის ღირებულებამ დაახლოებით ორ მილ ნახევარი



☞9

# „მზაობის“ ჯგუფები—„დედობრივ სკოლებში“

*დამთავრდა სასწავლო-სააღმზრდელო წელი მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღებში, შესაბამისი გამოსაშვები ღონისძიებებიც მოეწყო. ყველგან საზეიმო განწყობა იყო, ყველას და ყველაფერს განსაკუთრებული სითბო და ელფერი ახლდა. სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის დირექტორის მაია თორთლაძის თქმით—„მზაობის“ ჯგუფების გამოშვება ყველა ბაღში მაღალ დონეზე ჩატარდა, ერთმანეთისაგან განსხვავებულად, დასამახსოვრებლად... ხანგრძლივი, ნაყოფიერი მუშაობის კვალი ეტყობოდა თითოეულ ღონისძიებას. არ შეიძლება არ დაეთანხმო დირექტორს. ამ აზრს გამოხატავენ ღონისძიებების დამსწრე მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი მუშაკები.*

## თერჯოლის №3 ბაგა-ბაღის გამოშვება მეორმოცე და პირველი

№3 ბაგა-ბაღი ორმოცი წლის წინ აშენდა და ორმოცმა თაობამ დატოვა მისი კედლები. შარშან ახალი ბაგა-ბაღი აშენდა, დამთავრდა მე-3 ბაღელების „მომთაბარეობა“ და წელს პირველი გამოშვება იზეიმეს. ერთ-ერთი საუკეთესო გამოშვება უწოდეს ამ ჯგუფს—მეორმოცეს და პირველს—ანდრია აბესაძეს, გაბრიელ გავაშელაშვილს, მარიამ დოლაკიძეს, ილია კუპატაძეს, დავით კაპანაძეს, ლილე ლილუაშვილს, მარიამ მაკარიძეს, რეზი რობაქიძეს, სალომე რობაქიძეს, ანდრია რობაქიძეს, იოანე ფორჩხიძეს, ლიზი ძოწენიძეს, ეფემია პატარიძეს, ანდრია ნიკაჭაძეს...

ისინი თერჯოლის №2 საჯარო სკოლაში მივლენ, სკოლაში, რომელსაც ყოველდღე ხედავდნენ, სადაც უკვე იყვნენ „სტუმრად“. პედაგოგებთან ქეთინო გეწაძესთან და მაია აბულაძესთან ერთად პირველად აიღებენ ხელში „დედა ენას“ და აი-იას შეისწავლიან, გასაღებ ასოს სწორუპოვარი ქართული ანბანისას, მერე თანდათან და ძალიან მალე, დამარცვლით, თითის გაყოლებით წაიკითხავენ პირველ წინადადებებს, თუმცა ახლაც იციან ასო-ბგერებიც, თვლა-ანგარიშიც...



### „რა მშვენიერია ბავშვობა“

ეს სიმღერა პირველად შეასრულეს ყველამ ერთად და კარგად, შვენოდათ ერთნაირი ჩაცმულობა, დახვეწილი, თამამი მოძრაობები, ცეკვა და ლექსი, ჰქონდათ წლის მანძილზე დაგეგმილი თუ დაუგეგმავი აქტივობები, ინსცენირება, ცნობილმა ზღაპრის გმირებმა „წუნა და წრუწუნა“, „სოფლის შენებას რა უნდა“ მოხიბლა მაყურებელი. საუკეთესო, ცნობილი შემსრულებლის სიმღერის „საქართველოვ სიმღერა ჩემო“ ფონზე „ააწყვეს“ ცალკეული კუთხეები და გამოვიდა—საქართველო.



ბაღის დირექტორმა ლალი ქარქაშაძემ თხოვა დამსწრეთ გადაენაცვლებინათ ეზოში. აქაც საინტერესო გარემო იყო. შვილები, ფარდას ამოფარებულები, ხელის მოძრაობით „ამოიცვნეს“ მშობლებმა და მერე ერთად იდგნენ, მერე სხვადასხვა ფერის, იდუმალი ფორმის, ლამაზად შეკერილ ქსოვილის ქვეშ (მე მას პირობითად დროშას დავარქმევ) აღმოჩნდნენ და ესეც საინტერესო აქტივობა იყო.

ღონისძიების მიმდინარეობაში ჩართულები იყვნენ მასწავლებლები, ისინი მათთან ერთად ცეკვავდნენ, მღეროდნენ, თამაშობდნენ... თერჯოლის №3 ბაგა-ბაღის „მზაობის“ ჯგუფის საზეიმო ღონისძიება იყო ნამდვილი სანახაობა, საყურებლად კარგი, დასაწერად ძნელი, სრული წარმოდგენის შესაქმნელად იგი უნდა გენახა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარე გია ბარათაშვილი, მერიისა და საკრებულოს თანამშრომლები, სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის დირექტორი მაია თორთლაძე და სხვა თანამშრომლები, თერჯოლის №2 საჯარო სკოლის დირექტორი და პედაგოგები, აღსაზრდელთა მშობლები. იყო გამოსვლები და შეფასებები. პატარებმა, მშობლებმა ღონისძიების მთელ მანძილზე არა ერთხელ გამოხატეს მადლობა ბაღის პედაგოგებისა და აღმზრდელების მისამართით, ბატონმა მანუჩარმა და ბატონმა გიამ წარმატებები უსურვეს პატარებს, გზა დაულოცეს და მაღალი შეფასება მისცეს, როგორც ღონისძიების, ისე ბაგა-ბაღში წლის მანძილზე მიმდინარე პროცესს. „ცოდნით სავსე მიდიხართო“ ბატონმა მანუჩარმა და ამ სამი სიტყვით ბევრი რამ ითქვა. არაერთხელ გაისმა სამადლობელი ადგილობრივი ხელისუფლების მისამართით, იმ ძალისხმევისთვის, რასაც ისინი სკოლამდელი დაწესებულების მიმართ იჩენენ.

ზეიმი დაემთხვა ერთი აღსაზრდელის დავით კაპანაძის დაბადების დღეს, მიულოცეს და მოეფერენ. თითოეულისათვის მზად იყო და დაურიგდათ ალბომები, ბაღის ფოტო—დასტური ბაღის დამთავრების, ცხოვრების უფრო დიდ გზაზე გამოსვლის.

ბაგა-ბაღი არ არის მარტო ის, რაც სცენაზე ვნახეთ, კვება, ჰიგიენა, ძილი, მოსვენება, მშობლიური მზრუნველობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თქვა დირექტორმა, ქალბატონმა ლალიმ და მადლობა გადაუხადა ბაღში დასაქმებულ თითოეულ თანამშრომელს.

ღონისძიებამაც ყველას წვლილი ჩაიტია. მასწავლებლებსი იზო ცქიფურიშვილი, ნინო ხაჭაპურიძე, დამხმარეები თეონა ზირაქაძე, გულო ხვედელიძე, მუსიკის პედაგოგი ლია გაგიშვილი, მეთოდისტი ქეთევან ჯაბიძე, ფსიქოლოგი ეთერ უკლება და სხვები, ვინც იშვიათად ჩანს.

ჟუჟუნა ცხადაძე

## „მერცხლები“ ემშვიდობებიან მშობლიურ ბუდეს

ქალაქ თერჯოლის №2 საბავშვო ბაღის გამოსაშვები ჯგუფის „მერცხლების“ საზეიმო საღამო ღია სივრცეში ე.წ. „ძელქვების“ ეზოში გაიმართა. ბაღის 36 აღსაზრდელიდან 34, სექტემბრიდან, სკოლის მერხებს მიუსხდება. ბაღში გატარებული 4 წელიწადი კი ყოველთვის თბილად და ტკბილად მოაგონდებათ, სადაც დედობრივი სიყვარულით ზრუნავდნენ მათ აღზრდაზე, სწავლაზე, გართობასა და განვითარებაზე.

გამოსაშვებ ზეიმზე პატარებს სტუმრები ჰყავთ: მუნიციპალიტეტის მერისა და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები ბატონები ზვიად ბაზაძე, მირზა ქოჩიაშვილი, დავით გოგბერაშვილი, ნინო ჩხიკვაძე. განათლების რესურსცენტრისა და ბაგა-ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელები ქალბატონები ქეთევან შეყრილაძე და მაია თორთლაძე, საკრებულოს დეპუტატი, თერჯოლის №1 საჯარო სკოლის დირექტორი ქალბატონი ელისო მურადაშვილი, აპარატის უფროსი ხათუნა ნიკოლაძე, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი მაკა ასათიანი, მოსწავლეთა მშობლები.



ბაღის დირექტორი ქალბატონი ლია გიორგაძე მიესალმა და მადლობა გადაუხადა სტუმრებს პატარების ზეიმში მონაწილეობისათვის, აღსაზრდელებს კი გზა დაულოცა, წარმატებული საღამო და ბედნიერი მომავალი უსურვა თითოეულს.

გასაფრენად მომზადებულ მერცხლებს ჰგვანდნენ მართლაც ლამაზი გოგო-ბიჭები და ახლა ისინი მასწავლებელთან ერთად საზეიმოდ ემზადებიან.

„მე სკოლაში მივდივარ“, ასეთია თემა აქტივობისა და ბუნებრივია, ეს ბაღთან განშორებაა, ამიტომ აღმზრდელი ლალი ფანჩულიძე დასაწყისშივე ამაღელვებელი, სიყვარულით გამთბარი სიტყვებით მიმართავს ბავშვებს, სადაც მათთან დაშორების სინანულსაც გამოხატავს და იმასაც, რომ სკოლასა და ცხოვრების გზაზე მათი წარმატებებით მშობლიურ ბაღში ყოველთვის იამაყებენ. შემდეგ კი ქალბატონი ლალი მადლობას უხდის ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელს და მის გუნდს, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, აღსაზრდელთა მშობლებს.



მადლობას უხდის ბაღის დირექტორს ქალბატონ ლია გიორგაძეს, ჯგუფის მასწავლებელს ნინო ალალიძეს, აღმზრდელთა თანაშემწეებს: ჯულიეტა ჩხენკელს, მაია გურულს, სალომე გამეზარდაშვილს, მუსიკის პედაგოგს ქეთევან ჩანთაძეს, ბაღის მეთოდისტს ლალი ფანჩულიძეს...

ღონისძიების დასაწყისში მასწავლებელმა აღსაზრდელებს პატარა მოთხრობა წაუკითხა. შემდეგ კი იყო კითხვა-პასუხები ანბანსა და დედაენაზე, ანუ კიდევ ერთხელ გაიხსენეს ბაღში მიღებული ცოდნა. სიმღერა მიუძღვნეს „აი იას“, შემდეგ კი სიმღერით გამოხატეს ბაღთან განშორების განცდები.

ბავშვებმა კარგად გაართვეს თავი დავალებებს: ხელოვნების, მათემატიკის, 2 სენსორულ და სამაგიდო ცენტრებში, სადაც ნიტა ჭანკვეტაძემ მის წარმოსახვაში არსებული სკოლა დახატა, სადაც სწავლას გააგრძელებს, მათემატიკის ცენტრის ბავშვებმა გეომეტრიული ფიგურები დაამზადეს, სენსორულ ცენტრებში მძივები და კენჭებით ფიგურები ააწყვეს, ხოლო სამაგიდო ცენტრში—ფაზლი.

საინტერესოდ და მხიარულად გაიმართა გუნდებს შორის სპორტული შეჯიბრებებიც მშობლების ჩართულობით.

შემდეგ კი კარგად მომზადებული სიმღერებითა და ცეკვებით გამოიჩინეს თავი პატარებმა.

ღონისძიებას ძალიან მოუხდა მამა-შვილის ანდრია და იმედა დოლაკიძეების დუეტი ლამაზად შესრულებული სიმღერით, რომელიც ცნობილმა კომპოზიტორმა, ანდრიას ნათლიამ, გია მაჭარაშვილმა სპეციალურად მათთვის დაწერა. ასევე მაყურებლებზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ლამაზი მუსიკის თანხლებით ბავშვებისა და მათი მშობლების ერთად შესრულებულმა ცეკვამ.

ისევ სიმღერა, რა დროსაც ბავშვები წრეზე აკეთებენ გულს სიყვარულის ნიშნად.

კარგად შესრულებული მხატვრული ნომრების შემდეგ პატარებმა თავიანთი ხელებით მომზადებული ნუგბარი: მაფინები, პოფკორნები და წვენები მიირთვეს და გასაბერი ლამაზი ბუშტებითაც ითამაშეს.

აღსაზრდელებს ბაღის დასრულება მიულოცეს, სკოლისაკენ გზა დაულოცეს და ბედნიერ გაბრწყინებულ საქართველოში ბედნიერი მომავალი უსურვეს ქალბატონებმა: მაია თორთლაძემ, ელისო მურადაშვილმა, ქეთევან შეყრილაძემ, ნინო ჩხიკვაძემ, მაკა ასათიანმა, ხათუნა ნიკოლაძემ და ბატონებმა ზვიად ბაზაძემ, მირზა ქოჩიაშვილმა და დავით გოგბერაშვილმა.

მშობელთა სახელით სიტყვა წარმოთქვა და ბაღის კოლექტივს მადლობა გადაუხადა კერძო სკოლა „მზეკაბანის“ პედაგოგმა ქეთევან ზარნაძემ.

თერჯოლის №2 საბავშვო ბაღის 52-ე გამოსაშვები ჯგუფის საზეიმო საღამო სამახსოვრო ალბომების გადაცემით და სურათების გადაღებით დასრულდა.

**მზია ცქიფურიშვილი**

# მასწავლებლის ეროვნული პრემიის მოსაპოვებლად

ღონისძიება, რომელიც 8 ივნისს ჩატარდა საგანმანათლებლო რესურსცენტრის ორგანიზებით, არ იყო პროექტის „დედამიწა ჩვენი სახლია“— შემადგენელი ნაწილი, იგი იყო გამოხმაურება ორი წლის წინ საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების, რომლითაც დაწესდა მასწავლებლის ეროვნული დღე—იგი იაკობ გოგებაშვილის დაბადების დღეს 27 ოქტომბერს ტარდება, არის მასწავლებლის განსაკუთრებული შრომის აღიარება, დაფასება და ვლინდება ქვეყნის 10 საუკეთესო მასწავლებელი. როგორც ქალბატონმა ქეთევანმა თქვა—ათის გამოვლენა არ ნიშნავს იმას, რომ ათზე მეტი არ გვყავს ისეთი მასწავლებელი ეროვნულ ჯილდოს რომ იმსახურებს. თერჯოლის საგანმანათლებლო რესურსცენტრი ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა განათლების მინისტრის ინიციატივას და გაიმართა მასწავლებლის ეროვნულ ჯილდოზე წარდგენის მუნიციპალური ღონისძიება, რომელსაც წინ უძღოდა მრავალი აქტივობა.

როგორც ცნობილია მასწავლებლის ეროვნულ ჯილდოზე წარდგენისათვის განაცხადის შეტანა შეუძლია ყველა მასწავლებელს, სკოლას—ვინ შეიტანა განაცხადი მასწავლებლის ეროვნულ ჯილდოზე წარსადგენად, უცნობია, მაგრამ ეროვნულ ჯილდოზე წარსადგენ მასწავლებლებთან შეხვედრა შედგა. ეს იყო ერთგვარი გამოცდა, სტიმული, თამამად, გაბედულად შეიტანონ განაცხადი და წარსდგნენ ამ მნიშვნელოვან ჯილდოზე.

ღონისძიებაზე მოწვეულ სტუმრებს საშუალება ჰქონდათ დაეთვალიერებინათ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ფოიეში მასწავლებელთა მუშაობის ამსახველი ფოტო-მასალა, მათდამი მიძღვნილი ლექსები, ჩანახატები, მოსწავლეების და კურსდამთავრებულების წერილები, მშობელთა მადლობის ფურცლები, სხვადასხვა პროექტში მონაწილეობის დამა-

უსწავლებიათ საბჭოთა პერიოდში, მოსწავლეობა რომ გაუვლიათ და უსწავლებიათ დამოუკიდებელ საქართველოში, ორივე შემთხვევაში გადამწყვეტი იყო მშობლის როლი, ახლა პედაგოგთა ორივე თაობა ნაწილობრივ თავის თავზე იღებს მშობლის პასუხისმგებლობასაც, „რას უნდა განიცდიდეს მასწავლებელი, რომელიც ასწავლის უკვდავ მოთხრობას „იავნანამ რა ჰქმნა“ და ბავშვი ეტყვის—იმღერე მასწავლებელო იავნანა, მე ის არასოდეს მომისმენია“—თქვა თავის გამოსვლაში რუსუდან ბოგვერაძემ.

ნუ დაღონდები ქალბატონო რუსუდან—ძვირფასო პედაგოგებო. ქართველი დედები დაბრუნდებიან, ყველა ერთ ჭერქვეშ, ერთ ფრთებქვეშ ვიქნებით, თავს მოვიყრით ერთიან, ძლიერ საქართველოში, მანამდე კი რადგან გერგოთ მძიმე და საპატიო ტვირთის ზიდვა, უნდა გაუძლოთ, აკი იწოდებით მეორე მშობლად.

პრეზენტაციები კი წარმოადგინეს: რუსუდან ბოგვერაძემ (თერჯოლის №1 სკოლა), მზია მაკარიძემ, ზოია ბუცხრიკიძემ, (თერჯოლის №2 სკოლა), ხათუნა რობაქიძემ, დარეჯან ჭანტურიძემ (გოგნის სკოლა), სოფიო ცეცხლაძემ (ეწრის სკოლა), მადონა ჭანტურიძემ (საზანოს სკოლა), მაია მელუავამ (ნახშირღელის სკოლა), სოფო ვაშაკიძემ (სიქთარვის სკოლა), ცარო ჭელიძემ (ქვ. სიმონეთის №2 სკოლა), ელისო ჩიქოვანმა (ღვანკითის სკოლა), მანანა წერეთელმა, ნორა ჩუბინიძემ, დარეჯან ჭანტურიძემ, თეა დოლაკიძემ („მზეკაბანი“).

მანანა წერეთელმა საკუთარი ლექსი წაიკითხა. თეა დოლაკიძე საპრეზენტაციოდ სცენაზე არ ასულა, კომპიუტერულ უზრუნველყოფას ყველას პრეზენტაციას ის უწევდა. იგი აზა მემანიშვილმა წარადგინა, თეას შთამბეჭდავი წარმატებით. ამასობაში წამით შეფერხდა ვიდეო ჩვენება, ნორა ჩუბინიძემ იმ წუთში დაარქვა სახელი—გითხარით მე,



დასტურებელი დოკუმენტები, დათქმულ დროს კი ქალბატონმა ქეთევენმა, ამ ღონისძიების ორგანიზატორმა და წამყვანმა, სცენაზე რიგრიგობით მოიწვია 10 სკოლის 15 მასწავლებელი, რომლებმაც წარმოადგინეს თავიანთი მუშაობის შესახებ პრეზენტაციები, თითოეული პრეზენტატორი განსხვავებულად, საინტერესოდ წარსდგა, ყველამ მოახდინა შთაბეჭდილება. ამის გამო მოგვიანებით ბატონი მანუჩარ რობაქიძე იტყვის—სამი საათი ვიჯექი დარბაზში და ეს სამი საათი, თითქის სამი წუთი იყოო.

პრეზენტატორებს ჰყავდათ ე.წ. „მხარდამჭერები“—სკოლის მოსწავლეები, რომლებმაც წარმოადგინეს თითო მხატვრული ნომერი. „მხარდამჭერებად“ იყვნენ ეწრელი პედაგოგები და ღვანკითის სკოლის დირექტორი ინგა ჯალიაშვილი, სიმღერებით, ვიდეო ჩართულობით კი ყოფილი კურსდამთავრებულები, სკოლების ყოფილი და მოქმედი დირექტორები.

ჩვენ სცენაზე ვხედავდით ორ თაობას—მოსწავლეობა რომ გაუვლიათ და

თავი დაანებეთ მაგ ეშმაკის მოგონილსო. ქეთევანმაც იხუმრა—სანამ ეგ „ეშმაკის მოგონილი“ წესრიგში მოვა, მხატვრული ნომერი მოისმინეთო.

პრეზენტაციები დამთავრდა. მართლაც სამი საათი სამარისებული სიჩუმე იდგა დარბაზში, დარბაზიდან ე.წ. „მოჩქარენიც“ აღარ გასულან, ყველა ინტერესით უსმენდა ჩვენ ღირსეულ პედაგოგებს.

ღონისძიება, რომელიც იყო ეროვნულ ჯილდოზე წარსადგენი მასწავლებლებთან შეხვედრა, დასრულდა. ქეთევანმა თხოვა ბატონ მანუჩარს და ბატონ გიას—„დახმარებოდნენ“. მათ მადლობის ფურცელი და ყვავილების თაიგული თხუთმეტივე პედაგოგს გადასცეს.

ღონისძიებას აგრეთვე ესწრებოდნენ მერის მოადგილეები: მირზა ქოჩიაშვილი, ზვიად ბაზაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, დეპუტატი დავით გოგბერაშვილი. ყველამ მაღალი შეფასება მისცა ღონისძიებას. ბატონი მანუჩარი კი კვლავაც მხარდაჭერას დაპირდათ.

# „პოეტური კულტურის გვირგვინი“

ეს სიტყვები თუ მიესადაგება შოთა რუსთაველის უკვდავ პოემას „ვეფხისტყაოსანს“. „კვლავ ალავერდით გამომიწოდე მაღალ შაირით მთვრალი ფიალა, ჩვენი არსობის არსის მსახველო, უფლის სიტყვა ხარ, წიგნი კი არა“—ეს კი ერთი სტროფია მანანა წერეთლის ლექსიდან „ვეფხისტყაოსანს“.

ვეფხისტყაოსანი მიუწვდომელი სიმაღლისაა. გმირობა, ძმობა, ვაჟკაცობა, მშვიდობიანი თანამეზობლობა, სამშობლოს სიყვარული, ამაღლებული მიჯნურობა, ქალის პატივისცემა, სიმართლისათვის

ლა თაობამ კარგად იცის ვეფხისტყაოსანი და ალბათ შეეცდებიან თავიანთ თავში მონახონ მსგავსება ამ კეთილშობილი გმირების, იცხოვრონ ღირსეულად, მის ბრძნულ, ლამაზ აფორიზმებს, რომელიც ხალხშია გადასული ხალხის კუთვნილებაა, ცხოვრებაში გამოიყენებენ. მეათე კლასელებს ქართულში მეტი რომ არაფერი ესწავლათ, ის, რაც იციან ვეფხისტყაოსანზე, საკმარისი იქნებოდა, მაგრამ ეს კლასი ძლიერი კლასია, საამაყო გოგო-ბიჭებით.



თავდადება, შემწყნარებლობა—აი, რა არის მისი გმირების ტარიელის, ავთანდილის, ფრიდონის მახასიათებელი. ვეფხისტყაოსნის გმირები სამაგალითონი არიან. არიან ზრდილნი, თავმდაბალნი, თავაზიანნი, უშურველნი, ერთგულნი, თავგანწირულნი ძმობა-მეგობრობაში, ქალთა პატივისმცემნი, ბრძენნი და ტკბილმოუბარნი. კეთილშობილური მიზნით გაერთიანებული სამი ვაჟკაცი—ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი აღწევენ ბრწყინვალე გამარჯვებას. ვეფხისტყაოსნის ქალთაგან ნესტანი, თინათინი ანსახიერებენ გარეგნული სილამაზის, ზნეობრივი სიფაქიზის, ზომიერების თვისებებს, ნესტანმა არაფრად ჩააგდო თავისი გრძნობები და ქაჯეთის ციხიდან ტარიელს თხოვა დახმარება განსაცდელში ჩავარდნილი სამშობლოსი. საინტერესოა ასმათის პიროვნება, ფატმანიც, ვაჭრული საზოგადოების წარმომადგენელი, მისაბაძი ფიგურაა როსტევანი—უხვი და მდაბალი...

აი, ვეფხისტყაოსნის გმირები, რომლებიც საინტერესოდ წარმოადგინეს ლიტერატურული სპექტაკლის სახით კერძო სკოლა „მზეკაბანის“ მე-10 კლასის მოსწავლეებმა. ამ კლასის ქართულის მასწავლებელი და კლასის ხელმძღვანელი მანანა წერეთელია. მისი ორგანიზებით „ლიტერატურული კვირეულის“ დღეებში მე-9, მე-11 კლასებში საინტერესო ღონისძიებები ჩატარდა, კვირეული „ვეფხისტყაოსანმა“ დაასრულა.

***

სკოლის დარბაზში არ იცვლებოდა დეკორაციები, იყო ერთი და ყველაფერი ჩაიტია. დიდ ეკრანზე ერთმანეთს ცვლიდნენ ვეფხისტყაოსნის გმირების ილუსტრაციები. როლებს კი ასრულებენ: ნესტან-დარეჯანი—ლიზი ტოფაძე, თინათინი—თეკლა არაბიძე, ასმათი—ლიზი ბუიძე, ფატმანი—ნინი ჯანელიძე, ტარიელი—ნიკოლოზ სოფრომაძე, ავთანდილი—ნიკოლოზ სარდანაძე, ფრიდონი—ბექა თარგალაძე, როსტევანი—ბესო ფანჩულიძე, „სიბრძის სიმფონია“ თეკლა ჭანტურიძე (იგი კითხულობდა აფორიზმებს), პროლოგი-ეპილოგი—ნინი ლილუაშვილი.

***

ლიტერატურულ სპექტაკლს მანანა წერეთელი ყოველ წელს დგამს X კლასის მოსწავლეთა მონაწილეობით. ამ და ყვე-

## რაც ვნახეთ მას მაყურებელი უნდა

„მზეკაბანის“ პატარა დარბაზი მასწავლებლებით და მშობლებით იყო სავსე. უსაზღვრო იყო მათი სიხარული შვილებს და ამ სანახაობას რომ უყურებდნენ. დიახ, სანახაობას, შთამბეჭდავს, ამაღლებულს. ეს იყო ლიტერატურული სპექტაკლი, რომელსაც მაყურებელი უნდა, გამოითქვა აზრი, რომ—ვაჩვენოთ იგი საჯარო სკოლებს. მშობლებმა მადლობა გადაუხადეს ქალბატონ მანანას შვილების „აღმოჩენისათვის“, მათ ნახეს შვილები სხვა შესაძლებლობებით, ისინი თავიანთ ვრცელ მონოლოგებს ამბობდნენ ზეპირად, მხატვრულად და მსახიობის ოსტატობით.

თავის მხრივ კმაყოფილი იყო მასწავლებელიც. მან კიდევ ერთხელ ისაუბრა ვეფხისტყაოსნის ღირებულებებზე, რუსთაველის შეხედულებებზე, ჭირსა შიგან გამაგრებაზე, თავისუფლების წყურ-



ვილზე, ვაჟკაცურ ხასიათზე, სხვადასხვა ხალხების ძმობა-მეგობრობაზე, რაინდულ მიჯნურობაზე, ქალთა საინტერესო სახეებზე. „თუ გინდა ცხოვრება ისწავლო ეს წიგნი გაითავისე, იქიდან გადმოხედე ცხოვრებას. თავისუფლება არაფერზე იცვლება“—ასე დაასრულა ქალბატონმა მანანამ და არც სამადლობელი დაუშურებია.

აზა მემანიშვილი—ხარისხის მენეჯერი და ყველაფრის წარმმართველი მოეფერა ბავშვებს, მოიწონა სპექტაკლი და მანანას შემოქმედებითი საღამოს მოწყობას დაპირდა. ამასობაში იქნებ გამოვიდეს მანანა წერეთლის ლექსების ახალი კრებული.

**გვერდის ავტორი**
**ჟუჟუნა ცხადაძე**

# „დედამიწა ჩვენი სახლია“...

**თერჯოლელ პედაგოგებს, მოსწავლეებს, მშობლებს, თერჯოლის საზოგადოებრიობას ახსოვთ სხვადასხვა წლებში, თერჯოლის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ ჩატარებული ღონისძიებები, განხორციელებული პროექტები, მაგრამ პროექტი „დედამიწა ჩვენი სახლია“, რომლის ფინანსური მხარდამჭერია მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო, მაინც გამორჩეული იყო. პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე სკოლები ჩაერთვნენ დაგეგმილ პრეზენტაციებში, ხატვის, კალიგრაფიის, ესეების, ინტელექტუალურ კონკურსებში. მოეწყო მხატვრული კითხვის საღამო, მინი კონფერენცია, ღია გაკვეთილები, მსოფლიოს ქვეყნების მოდელირება.**

კენჭისყრის შედეგად ღია გაკვეთილებისა და მოდელირებისათვის ქვეყნები ასე გადანაწილდა. დიდი ბრიტანეთი (თერჯოლის №1 და ჩხარის №1 სკოლა), თურქეთი (თერჯოლის №2 და ბარდუბნის სკოლა), ეგვიპტე (ზედა საზანოს და ქვ. სიმონეთის №2 სკოლა), ჩინეთი (ღვანკითის და „მზეკაბანის“ კერძო სკოლა), საბერძნეთი (ზედა სიმონეთის და ნახშირღელის სკოლა), ესპანეთი (თუზის და ძევრის სკოლა), ინდოეთი (ალისუბნის №1 და გოდოგნის სკოლა), გერმანია (რუფოთის და ჭოგნარის სკოლა), იტალია (ახალთერჯოლის და ჩხარის №2 სკოლა), საფრანგეთი (გოგნის და ეწრის საჯარო სკოლა), ბულგარეთი (კვახჭირის და ნაგარევის სკოლა), ამერიკა (ალისუბნის №2 და სიქთარვის სკოლა).

კონკურსების გამარჯვებულები გამოავლინა რესურსცენტრის უფროსის ქეთევან შეყრილაძის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით შექმნილმა კომისიებმა.

## გამარჯვებულები

**პრეზენტაციები:** ნინი რობაქიძე (თერჯოლის №1 სკოლა), ნიკოლოზ ბოჭორიშვილი (თერჯოლის №2 სკოლა), ნინო ქამაკაშვილი (ახალთერჯოლის სკოლა), საბა სამხარაძე (რუფოთის სკოლა).

**ხატვის კონკურსი:** ილია ამბროლაძე-სოკოლოვი (თერჯოლის №1 სკოლა), ბარბარე მარუაშვილი (თერჯოლის №2 სკოლა), სანდრო დარსაძე (სსსმ მოსწავლე, გოგნის სკოლა), ნინო კუბლაშვილი (ღვანკითის სკოლა), ლიზი გოგბერაშვილი (თერჯოლის №1 სკოლა), ქრისტინე ბუცხრიკიძე (თერჯოლის №2 სკოლა), ნინო მეფარიძე (ძევრის სკოლა).

**კალიგრაფიის კონკურსი:** მარიამ ჩიტიძე (თერჯოლის №1 სკოლა), ანასტასია ჯანგიანი (ალისუბნის №2 სკოლა), ნუცა ფორჩხიძე (სიქთარვის სკოლა), ქრისტინე ქათამაძე (ზედა საზანოს სკოლა), იანი ბუსკივაძე (ღვანკითის სკოლა), ბარბარე ქურცაძე (ღვანკითის სკოლა), არჩილ დოლაკიძე (თერჯოლის №1 სკოლა), ელენე ლანჩავა (ნახშირღელის სკოლა), ანი ბარდაველიძე (ჭოგნარის სკოლა), მარიამ ხუჯაძე (ალისუბნის №1 სკოლა), მარიამ ცქიფურიშვილი (ბარდუბნის სკოლა), ანანო კურცხალია (რუფოთის სკოლა).

პედაგოგები: ია ქათამაძე (ბარდუბნის სკოლა), ხათუნა კლდიაშვილი (ეწრის სკოლა), ნინო სოფრომაძე (რუფოთის სკოლა), მარუსა ბერუაშვილი (ძევრის სკოლა).

**ესეების კონკურსი:** ნიკოლოზ ბუცხრიკიძე (ახალთერჯოლის სკოლა), ანანო ზარნაძე (ეწრის სკოლა), ლიზი გიორხელიძე (ქვ. სიმონეთის №2 სკოლა).

პედაგოგები: თეა რიჟამაძე (თერჯოლის №2 სკოლა), თეონა გიორგაძე (ეწრის სკოლა).

**მხატვრული კითხვა:** ნიკოლოზ ხოხიაშვილი (ქვ. სიმონეთის №2 სკოლა), დავით კუპატაძე (ღვანკითის სკოლა), ელენე ცქიფურიშვილი (ჭოგნარის სკოლა).

პედაგოგები: ნინო გოგინაშვილი (გოგნის სკოლა), თეონა გიორგაძე (ეწრის სკოლა), სოფიო ცეცხლაძე (ეწრის სკოლა).

**ინტელექტუალური კონკურსი:** გუნდი „ბრიტანია“ (თერჯოლის №1 სკოლა), მარიამ უფლისაშვილი, ნინი რობაქიძე, გიორგი რობაქიძე, მასწავლებელი უჩა გვენეტაძე, მშობელი მელანო მაკარიძე. გუნდი „აისბერგი“ (თერჯოლის №2 სკოლა) ირაკლი ნებიერიძე, ანდრია გაბრიჭიძე, ქრისტინე კუბლაშვილი, მასწავლებელი მარეხი მემანიშვილი, მშობელი დავით პატარიძე. გუნდი „ეწერი“ (ეწრის სკოლა), ანანო ზარნაძე, ელენე ჭელიშვილი, ლიზი კუბლაშვილი, მასწავლებელი ნუგზარ ხვარეშია, მშობელი სოფიო ცეცხლაძე.

**ღია გაკვეთილები:** უჩა გვენეტაძე—ანნა მემანიშვილი, ინტეგრირებული გაკვეთილი სამოქალაქო განათლება—ინგლისური. (თერჯოლის №1 სკოლა). თეა რიჟამაძე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება (თერჯოლის №2 სკოლა). ტატიანა შუღლაძე—რუსული ენა (ალისუბნის №1 სკოლა), ინგა გაბედავა—თენგიზ ხუჯაძე. ინტეგრირებული გაკვეთილი ინგლისური ენა-გეოგრაფია. (ალისუბნის №2 სკოლა), შორენა გაფრინდაშვილი—ინგლისური ენა (გოგნის სკოლა), თინა ამბროლაძე მათემატიკა (გოდოგნის სკოლა), ელგუჯა ჩუბინიძე გეოგრაფია (საზანოს სკოლა), მადონა ჭანტურიძე—მათემატიკა (ზედა საზანოს სკოლა), ნინო ქლიბაძე—დაწყებითი კლასი (რუფოთის სკოლა), ელენე კუტივაძე—სამოქალაქო განათლება (სიქთარვის სკოლა), გონერი მოსელიძე, ნუგზარ კობერიძე—ინტეგრირებული გაკვეთილის ისტორია-გეოგრაფია (ღვანკითის სკოლა), თამარ შანიძე—გერმანული ენა (ჭოგნარის სკოლა), დარეჯან ჭანტურიძე—რუსული ენა („მზეკაბანი“).

**მინი კონფერენცია:** შორენა აბესაძე (გოდოგნის სკოლა), ნუგზარ კობერიძე (ღვანკითის სკოლა), თეა დოლაკიძე („მზეკაბანი“), თამარ აფრიდონიძე (კვახჭირის სკოლა), ნინო ამბროლაძე (გოდოგნის სკოლა), სოფიო ვაშაკიძე (სიქთარვის სკოლა), თამარ ამირანაშვილი (თერჯოლის №1 სკოლა), ელისო კუპატაძე (ახალთერჯოლის სკოლა), შორენა გაფრინდაშვილი (გოგნის სკოლა), ხათუნა გავაშელაშვილი (თუზის სკოლა), მაია გოგბერაშვილი (რუფოთის სკოლა), ნინო ფერაძე (ჭოგნარის სკოლა), მადონა ჭანტურიძე (ზედა საზანოს სკოლა), მაია მელუავა (ნახშირღელის სკოლა).



***

პროექტის ფარგლებში დაიბეჭდა სამახსოვრო კალენდარი, მასში შევიდა: ლიზი გოგბერაშვილის (თერჯოლის №1 სკოლა), ბარბარე მარუაშვილის (თერჯოლის №2 სკოლა), ნათია ჭანკვეტაძის (რუფოთის სკოლა), მარიამ ყიფიანის, ნიკა კუბლაშვილის (ღვანკითის სკოლა), თეკლა ფანჩულიძის (სიქთარვის სკოლა), ნინო ქამაკაშვილის (ახალთერჯოლის სკოლა), ილია ამბროლაძე-სოკოლოვი (თერჯოლის №1 სკოლა), ქეთი კორტის, ელენე ჯიხვაშვილის (საზანოს სკოლა), ნინო მეფარიძის (ძევრის სკოლა), ნინო კუბლაშვილის. თეკლა ბუსკივაძის (ღვანკითის სკოლა) ნახატები.

გარეკანი გააფორმეს: ნინო ვაშაყმაძემ (კვახჭირის სკოლა), მაია რობაქიძემ (საგანმანათლებლო რესურსცენტრი).

## დასკვნითი ღონისძიება—ქვეყნების მოდელირება

15 ივნისს, ლაშა გოგიაშვილის სახელობის სკვერში, პროექტის „დედამიწა ჩვენი სახლია“ დასკვნითი ღონისძიება გაიმართა. კერძო და საჯარო სკოლების პედაგოგებმა და მოსწავლეებმა დილიდანვე დაიკავეს ადგილები, იყო სასიამოვნო „არეულობა“, შესაბამისი ქვეყნის ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი გოგო-ბიჭები პედაგოგებთან ერთად „აწყობდნენ“ ქვეყნებს თავიანთი ტრადიციების შესაბამისად. მუნიციპალიტეტის ყველა სკოლა იყო ჩართული ქვეყნების მოდელირებაში და წარმოადგინეს 12 ქვეყანა, ერთი ქვეყანა ორმა სკოლამ (ქვეყნები კენჭისყრით შეხვდათ, ამ ნიშნით ჩატარდა, ოღონდ სურვილისამებრ ღია გაკვეთილებიც, თითოეულ ქვეყანაში „სამოგზაუროდ“ მალე ყველაფერი მზად იყო, სკოლებმა წარმოადგინეს ქვეყნების ისტორია, კულტურა, კულინარია, სამოსელი, შესრულდა ეროვნული სიმღერები, ცეკვები.

მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, მოადგილეები: მირზა ქოჩიაშვილი, ზვიად ბაზაძე, საკრებულოს თავმჯდომარე გია ბარათაშვილი, მოადგილე დავით გოგბერაშვილი, მერიისა და საკრებულოს თანამშრომლები ყველა „ქვეყანაში“ მივიდნენ, მოუსმინეს მოსწავლეთა და პედაგოგთა გამოსვლებს, ყველგან გააკეთეს შეფასება, როგორც ქვეყნების მოდელირების, ისე მთლიანად პროექტის და მადლობა გადაუხადეს სკოლების დირექტორებს, პედაგოგებს, მონაწილე მოსწავლეებს.

ღონისძიება „გერმანიის მოდელირებით“—რუფოთისა და ჭოგნარის სკოლებმა დაასრულეს. ეს შემთხვევითი არ იყო. საქართველის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების მხარდაჭერა გამოიხატა, სიმბოლურად მოსწავლეებმა ფეხბურთიც გაითამაშეს. პროექტის საბოლოო შეფასებაც აქ მოხდა—ბატონმა მანუჩარმა მაღალ დონეზე შეაფასა საგანმანათლებლო რესურსცენტრის საქმიანობა, სკოლების ჩართულობა და ისაუბრა პროექტის მნიშვნელობაზე, შარშანდელი ღონისძიებაც გაიხსენა, როცა სკოლებმა საქართველოს კუთხეები წარმოადგინეს, მადლობა უთხრა სკოლებს, მონაწილეებს. თავის მხრივ ქალბატონმა ქეთევანმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ სკოლები ინტერესით იღებენ პროექტებს, პასუხისმგებლობით ეკიდებიან, მთელი ენერგიით მუშაობენ პროექტებზე და დაპირდათ—ვიდრე თქვენ გექნებათ მოტივაცია, არც მე დავიღლები, ყოველთვის შემოგთავაზებთ ახალ-ახალ პროექტებსო. მანვე მადლობა გადაუხადა ბატონ მანუჩარს, გია ბარათაშვილს, მთლიანად მერიას და საკრებულოს, როგორც ფინანსური, ისე ზოგადად, ყველა წამოწყებაში მხარდაჭერისათვის.

მიმზიდველი იყო იმ დღეს სკვერი, ამასთან საქმიანი, დიდი შრომა იყო ჩადებული ამ პროექტში. ზემოდჩამოთვლილი ჯილდოების გადაცემაც აქ მოხდა, რაც ერთგვარი სტიმული იყო.

**ჟუჟუნა ცხადაძე**

## ბიძინა ბუცხრიკიძე: „ჩვენ, ერთობლივი მუშაობით, თითქმის შეუძლებელი შევძელით“

6☜

სულ ახლახანს, დავამზადეთ გოგიაშვილებიდან სოფლის ცენტრისაკენ მიმავალი გზის პროექტი, რომელიც შესამაბისი დაფინანსების არსებობის შემთხვევაში, იმედი გვაქვს, მიმდინარე წელსვე მოეწყობა. აუცილებლად დავიწყებთ და შევაერთებთ თერჯოლა-ახალთერჯოლის საავტომობილო გზას, ხოლო დარჩენილ მონაკვეთებს, შესაძლებლობის ფარგლებში, ხარისხიანად დავამუშავებთ მთის ქანით. მომდევნო წლის პროექტებში, მნიშვნელოვანია ახალი ამბულატორიის მშენებლობა, რომელიც სოფლის ცენტრში მოეწყობა, ასევე ჩვენთვის, პრიორიტეტულია ახალგაზრდებთან ურთიერთობა, მათი გვერდით დგომით და მინიმალური რესურსის გამოყენებით ხშირად ვალამაზებთ ჩვენი სოფლის სხვადასხვა მონაკვეთებს. მიმდინარე წელს დაგემილი გვაქვს სოფლის ცენტრში საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილის მოწყობა. და ბოლოს, მინდა აღვნიშნო, თითოეულ წამოწყებულ საქმეში ის დიდი მხარდაჭერა, რომელიც გვაქვს ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლებიდან; მაჟორიტარი დეპუტატის, ბეჟან წაქაძის, მხარის გუბერნატორის ზვიად შალამბერიძის, მუნიციპალიტეტის მერის მანუჩარ რობაქიძის, საკრებულოს თავმჯდომარის გიორგი ბარათაშვილის, ასევე თითოეული მერიისა და საკრებულოს თანამშრომლების მხრიდან. ჩვენს გუნდთან ერთად, მუხლჩაუხრელი შრომით, საქმისადმი სიყვარულით, პატრიოტული სულისკვეთებით, ახალგაზრდების თანადგომითა და მეგობრობით, ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ დასახულ ყველა მიზანს მივაღწევთ და ვეცდებით ჩვენი საქმიანობა ყოველთვის წარმატებული იყოს!“

## გრიგოლ გიორგაძე: „იმედი გვაქვს, რომ ყველა საკითხს განსაზღვრულ ვადებში გადავჭრით“

6☜

შეადგინა.

2023-24 წწ:

სოფ. ჭალასთავში მოეწყო 1 კმ 600მ ბეტონის საფარი.

სოფ.გოდოგანში ეკლესიის მიმართულებით მოეწყო 1კმ 600მ ბეტონის საფარი.

ასევე სოფ. გოდოგანში გამგეობა ჭიჭინაძეების მიმართულებით 2023 წელს დაწყებული იქნა გარდამავალი პროექტი 5 კმ გზის ბეტონის საფარით მოწყობა, რომლის ღირებულება შეადგენს მილიონრვაასიათას ლარს. ამ ეტაპზე 3 კმ მეტი უკვე მოწყობილია და დარჩენილი სამუშაოები დასრულდება წელსვე, 2024 წლის ბოლომდე.

რაც შეეხება ისეთ პროექტებს, რომელიც ხორციელდება სოფლის მხარდაჭერის პროგრამით მუნიციპალიტეტის დახმარებით, მრავალი სამუშაო ჩატარდა მოსახლეობის პრობლემის მოსაგვარებლად. მოეწყო საბავშვო და მოზარდთა სავარჯიშო მოედნები, ბავშვთა გასართობი ატრაქციონები, მოედნები. ყველა წელს ხდება სოფელში სანიაღვრეების მოწყობა და რთულად გასავლელი შიდა საუბნო გზებზე ბეტონის საფარით გზის მონაკვეთების მოწესრიგება. ხდება შიდა საუბნო, სახლამდე და სახნავსათესამდე მისასვლელ გზებზე მთის ქანის შეტანა.

რა თქმა უნდა ამჟამადაც ვმუშაობთ სხვადასხვა პროექტების მოსაპოვებლად და განსახორციელებლად. დაგეგმილია სოფლის ამბულატორიის მოწესრიგება, გარემონტება, ახალი ინვენტარის შემოტანა.

იმედი გვაქვს, რომ ყველა საკითხს, მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის სამსახურების თანადგომით, განსაზღვრულ ვადებში გადავჭრით“.

**ესაუბრა ჟუჟუნა ცხადაძე**

# „ღმერთო კარგად მიმყოფე, ჩემი დედულ-მამული“...

## გენო კლდიაშვილს10 ივნისს 86 წელი შეუსრულდებოდა

**ახსოვს თერჯოლას გოლიათური აღნაგობის, ვაჟკაცური იერითა და ამავდროულად მშვიდი, კეთილშობილი სახის ინტელიგენტური შესახედაობის კაცი, ბარდუბნიდან თერჯოლაში გაივლიდა ქალაქის უმთავრეს ქუჩას და პირდაპირ რედაქციას მოაშურებდა, ხელში საქაღალდით, ხანაც გულისჯიბეში ახალი ლექსებით. რედაქციის კარებს შემოაღებდა, მორიდებული, თავდაჭერილი ჟესტით ფრთხილად გადმოალაგებდა თაბახის ფურცლებს, მორცხვად იტყოდა ახალი ლექსები მოვიტანეო და თავად წაგვიკითხავდა. დავტოვებ, თუ შეძლებთ დამიბეჭდეთო.**

ვიცოდით, რომ ამ ლექსებში ბატონი გენო სულსა და გულს დებდა და როგორ შეიძლებოდა მისთვის ადგილი არ დაგვეთმო, მითუმეტეს, როცა რედაქციიდან ის არავითარ ჰონორარს არ მოელოდა, ბედნიერი იყო იმითაც, რომ მისი ლექსები, ასე ვთქვათ დღის სინათლეს ნახავდა და მკითხველს მისი ნააზრევ-ნალოლიავები სტრიქონების წაკითხვის საშუალება ექნებოდა. სულ ეს იყო მისი ბედნიერების საბაბი.

გენო კლდიაშვილი რამდენიმე პოეტური კრებულით და პრესაში გამოქვეყნებული ლექსებით გაიცნო და შეიყვარა მკითხველმა, ასე მოახერხა მოკრძალებულმა შემოქმედმა კუთვნილი ადგილი დაემკვიდრებინა ლიტერატურულ ცხოვრებაში.

ჯერ კიდევ სტუდენტობისას ქუთაისში, როცა პირველი პოეტური სტრიქონები ჩამოიმარცვლა, დაუახლოვდა ლიტერატურულ წრეებს, ქუთათურ მწერლობას... იზიდავდა ლიტერატურული ღონისძიებები, საუბრები პოეზიასა და მწერლობაზე, ეს ურთიერთობა შემდეგაც გაგრძელდა, როცა ბარდუბანში დაბრუნდა. მას ცხოვრების მანძილზე პედაგოგიურ თუ სამეცნიერო მუშაობასთან ერთად წუთითაც არ მიუტოვებია ლიტერატურული მოღვაწეობა. იყო საქართველოს უმძიმესი წლები თუ ცოტა უკეთესი, მუდამ აქტიური პოზიცია ეჭირა და თავისი ლექსებით გამოხატავდა დამოკიდებულებას ამა თუ იმ მოვლენისა თუ ფაქტის თაობაზე. პოეტისათვის მამული სალოცავი ტაძარი იყო მისი საფიცარი და საზრუნავი. „თვალები ცრემლით ნამულია, და თუკი მაინც ხარ ცოცხალი, მამული მაინც მამულია, შენი სახატე და სალოცავი“.

ტკივილი, იმედგაცრუება, სულიერი მარტოობის წიაღიდან აღმოცენებული კოშმარული განცდები და ცხოვრებისეულ წინააღმდეგობებთან ჭიდილში ხელმოცარული კაცის ნაღვლიანი ფიქრები... ესაა გენო კლდიაშვილის პოეტური სამყაროს უმთავრესი შტრიხები: „დავდივარ, ვფიქრობ, ვცხოვრობ, განვიცდი და ღამით ტბა რომ დავაშრო, მე ვარ არტისტი, დიდი არტისტი, ბედნიერ კაცის როლს რომ ვთამაშობ“... უფრო და უფრო რთულდება როლი და მიძნელდება მისი თამაში, რის ბედნიერი, ვინ დაიჯერებს, როცა უშენოდ ყოფნა მაშინებს, სანამ მომდგარა კართან სიბერე, ო, ამ როლიდან გადამარჩინე“. ეს ლექსი და შემდეგ სხვა მრავალი, რომელიც განცდებთან, ტკივილთან, მარტოობის შიშთან იყო დაკავშირებული არ იყო მარტოოდენ მისი პირადულის გამომხატველი. მისი შემოქმედების დიდი ნაწილი ჩვენი ქვეყნის ბედნიერ მომავალზე ოცნებას, მამულის დაცვის და მისი ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის ტკივილს უკავშირდება.

პოეტი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე საქართველოს გამთლიანებას ავედრებდა უფალს, მის უკეთეს ხვალინდელ დღეს ელოდა იმედიანად. „მზე მოვა, მოვა მთათა კალთებით... მანამდე კი „ღმერთო მომეცი ნიჭი გაძლების, მოჩვენებითი არს ყველაფერი, ისევ ვლოცულობთ შენი ტაძრებით, თავისუფლებას ისევ მოველით, ისევ მძვინვარებს შენი ურჩხული, გამოაჩინა შავი ბრჭყალები და თუ ვლოცულობთ ჩუმი ჩურჩულით, ღმერთის სახელით და შეწყალებით, გვიშველის მარტო ლოცვავედრება? როცა გოლგოთის ჟამი ედრება, როს დავიღალეთ ცბიერ სინათლით?!“

თუმცა უკეთესი მომავლის იმედი არასოდეს დაუკარგავს პოეტს: „გაიშლება მაინც აფრა, რაც არ უნდა განრისხდნენ... მიხარია ასე სწრაფად ცად რომ ილტვის ალვის ხე. ვდარდობ, თუმცა მაინც მხნედ ვარ, არ ავყვები არვის ხმებს, უხარია გამოხედვა ციდან ამ ჩემს ალვის ხეს“.

პოეზიის მსახურება თვით ღვთიური ნიჭით ხელდასმულ ადამიანებს ხელეწიფებად. გენო კლდიაშვილი ერთ-ერთი იმათთაგანია, უფლის ნებითა და წყალობით მთელი თავისი არსება და ცხოვრება პოეზიას რომ მიუძღვნა. შემოქმედმა ვერ მოიცალა პირადი ბედნიერებისათვის, თუმცა პირველი სიყვარული სტუდენტობისას ეწვია. არ გაუმართლა იმედმა და შემდეგ, მთელი 78-წლიანი ცხოვრების მანძილზე კვლავ ელოდა ახალ, დიდ, ნამდვილ სიყვარულს: „მოგელი სად ხარ ფერიავ, დღე ლამაზია ამ მითით“.

თუმცა ისე წავიდა ამქვეყნიდან ოცნება ვერ აისრულა. გულისტკივილით კი წერდა: „მიიპარება სიცოცხლე ბედნიერების გარეშე...“

ცხოვრობდა, დადიოდა პოეზიის, ხალხისა და ქვეყნის სიყვარულით გულანთებული პოეტი, ქარგავდა ლექსის სტრიქონებს და აქსოვდა მასში უსაზღვრო სევდას მარტოობისას... მშობლიურ სოფელს ბარდუბანს, თერჯოლასა და თავისი მოღვაწეობის ძირითად ადგილს ქუთაისს უგალობდა ლამაზი ქართული ლექსებით. არ უყვარდა პომპეზურობა, ტაში და აუდიტორიები, დაფიქრებული მზერით იპყრობდა ყურადღებას. გულისნადები ლექსში იღვრებოდა და ასე ამჟღავნებდა მომავლის იმედს, სიხარულსა თუ სადარდებელს...

რვა წელი გავიდა, რაც ბატონი გენო მარადიული საუფლოს ბინადარი გახდა და ზეციური საქართველოდან თითქოს კვლავ ისმის მისი ხმის გაჟღერება: „ღმერთო კარგად მიმყოფე, ჩემი დედულ-მამული“...

რედაქციაში შემოგვრჩა გენო კლდიაშვილის ლექსები, რომელიც მკითხველს გარკვეულ შთაბეჭდილებას შეუქმნის მისი შემოქმედების შესახებ. ეს ის ლექსებია, რომელთა გამოქვეყნება პოეტის სიცოცხლეში რატომღაც ვერ მოხერხდა. იმედია გვაპატიებს.

ეს გახსენება და ლექსები მისი დაბადების 86-ე წლისთავს ეძღვნება...

ბატონო გენო, ჩვენო ძმავ და მეგობარო, სიმშვიდე მისცეს უფალმა შენს მარადიულ ძილს...

იმედია, კვლავაც ლოცულობ შენი სამშობლოსათვის, შენს სახელს დავიწყება არ უწერია.



მზია ცქიფურიშვილი

### ვის უხმობს ზარი

კოშკი ვერაფრით ამაგებინე  
ვერ გაამრთელე ცხოვრების ბზარი,  
კაცი არა ხარ გამაგებინე  
ვის უხმობს ზარი?  
ბოლოს და ბოლოს მითხარი ვინ ხარ  
წვიმას მოელის ო, მიწა მზრალი  
ეს ერთადერთი მაწამებს კითხვა  
ვის უხმობა ზარი?

### ზამთარი

ეხ, ჭირისუფალს ვედრები  
ფიქრები დარდებს ჰკონიან,  
ეზო ყვითელი ფოთლებით  
მე ბრძოლის ველი მგონია.  
ვინ უპატრონებს ვინ შველის  
არეს ტყიანს და ველიანს,  
დგანან ხეები შიშვლები  
და თბილ სამოსელს ელიან.

### ჯავრო

ჯავრო არ მოგცემ ნებასა...  
ვერც საყვედურში ამოხვალ,  
თვით შეეყრები სნებასა  
თუ კიდევ ჩემსკენ წამოხვალ.  
შენ შემაწუხე, რომელიც  
არ ვმხიარულობ ამ მხარეს,  
ახლა სიხარულს მოველი  
ეშმა ტყუილად ხარხარებს.

### სიყვარული

სიყვარულის სადღეგრძელოს შევსვამ-  
დი  
ის ცასავით სუფთაა და წმინდა.  
შემოდგომის მოალერსე მზესავით  
მე კი შენი მოფერება მინდა.  
ამაღლდება გრძნობები და ფიქრები  
ოი, როცა ერთად ვიქნებით.  
მაგრამ რა ვქნა დამყვა ბედი წყეული,  
ვიარები მარტოდ მარტო ეული,  
მაგრამ მზეთა შუქთა მოციმციმეთი  
ჯერ კიდევ არ დამიკარგავს იმედი.

### ქუთაისის მონატრება

სულში ვერაფრით გავიზაფხულებ,  
არ ყვავილობენ ისე შინდები...  
ქუთაისს თუ არ მოვინახულებ  
ვერ დავმშვიდდები.  
რა ჯადოსნური ძალა აქვს ქალაქს  
მაინც ვერაფრით ვერ გამიგია  
ეს სიყვარული მე უბით დამაქვს  
და სალოცავი ხატი იგია.  
აქ თუ შრიალებს ლურჯად ყანები  
თბილი წვიმების თავსხმა თუ არი,  
თუ ჩემს ბარდუბანს ვეთაყვანები  
ო, ქუთაისი მაინც სხვა არი...  
ეღიმილება როცა ია მზეს  
ეს სურვილები ჩემსკენ მორბიან  
ო, მეგობრებთან პოეზიაზე  
ძვირფასს საუბრებს რამე ჯობია?

### კალიავ

მან უმწეობა მაჯავრა  
აქ მთელი კვირა გალია,  
ეხეთქებოდა ფანჯარას,  
ძირს ეცემოდა კალია.  
რა ციხე, რა საკანია  
ვფიქრობდი ვიხსნა დღეს ან ხვალ  
ო, მაპატიოს კალიამ  
ვერ მივეშველე ამდენ ხანს.  
და თუ გამომრჩა ხედვიდან  
ცუდი რამ არ დამაბრალოს...  
დღეს კი დავტაცე ხელი და  
გარეთ გავუშვი საბრალო.  
რა ბედნიერი ის არი  
გული დამწყვიტა არა და...  
გაფრინდა როგორც ისარი  
ჰაერში გაინავარდა.

### ძმობა-სიყვარული

ამ სიყვარულს გულით მივესალმები  
სიხარულით ვერ ვისვენებ ღმერთმანი  
ქარია და ირხევიან ალვები  
და ძმებივით ეხვევიან ერთმანეთს.  
ჩემი ლოცვა ასულია ღმერთამდე,  
ნუ გგონიათ გიყვებოდეთ არაკებს,  
ჩვენც თუ ასე ჩავეხუტეთ ერთმანეთს  
გეფიცებით მტერი ვერას დაგვაკლებს.

### მაისო

შენ სალოცავი ხატი იქნები,  
ო, უშენობა როგორ ვინანე,  
მოხვედი შენ და მწარე ფიქრები  
მე გავატანე ქარს და მდინარეს.  
ცვივა თოვლივით ვაშლის ფიფქები  
შვენის გაზაფხულს სიდარბაისლე,  
ვიცი მაისო, სულ სხვა იქნები  
არ ემსგავსები ფერმკრთალ მაისებს.  
ეს ყვავილები ვინ გამითელოს  
მახსოვს, ღამეებს როგორ ვუთევდი,  
ღმერთმა მრავალი დღე გამითენოს  
და მე ყველა დღეს ჩავეხუტები.

### მარტოობის კლავიში

როცა დარდმა უცების  
ცხენი მოაჯირითა,  
არე-მარეს გავცქერდი  
ჩემი მოაჯირიდან.  
მომაბრუნებს უკანვე  
ფიქრი არსად გამიშვებს,  
და დარდები უკრავენ  
მარტოობის კლავიშებს.

### გაზაფხული დავით კლდიაშვილის ეზოში

შენ გიხარია და ლაღობ ეგზომ  
თავი ანებე ყოველ ოცნებას,  
ახლა მარტია დავითის ეზო  
მუქარგ-მოქარგეს ქორჩიოტებმა.  
ნუ, დაღონდები თუმცა ხარ ობლად,  
როს გული მღერის უცხო ნოტებით,  
ალბად დავითიც ასე ხარობდა  
როცა ჰყვაოდნენ ქორჩიოტები.

# იმერეთის ღია საკვალიფიკაციო ტურნირი ჭადრაკში

**5-11 ივნისს ქ. ქუთაისში იმერეთის მხარის ჭადრაკის ფედერაციის ორგანიზებით, მაია ჩიბურდანიძს სახელობის საჭადრაკო სკოლაში, ჩატარდა იმერეთის ღია საკვალიფიკაციო ტურნირი ჭადრაკში. ტურნირი მიმდინარეობდა შვეიცარული სისტემით, რომელშიც მონაწილეობდა 400-მდე მოჭადრაკე, იმერეთის სხვადასხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან. აღნიშნულ ტურნირში სხვადასხვა კატეგორიაში მონაწილეობას ღებულობდნენ თერჯოლის ა(ა)იპ სპორტული სკოლის მოჭადრაკეები (მწვრთნელი ეროვნული ოსტატობის კანდიდატი მერი ჩაფიჩაძე).**

28 მოჭადრაკით მიიღო მონაწილეობა ტურნირზე მწვრთნელის ეროვნული ოსტატობის კანდიდატის მერი ჩაფიჩაძის ჯგუფმა. უთანრიგო, 8-წლამდე გოგონათა შორის მე-2 საპრიზო ადგილი დაიკავა 35 მონა-



წილეთა შორის ბარბარე მაკარიძემ (თერჯოლის №2 საჯარო სკოლა). მან 7 შესაძლებლობიდან მოპიპოვა 6 ქულა, ასევე ამ კატეგორიაში მე-3 საპრიზო ადგილი დაიკავა მართა კუტალაძემ (თერჯოლის №2 საჯარო სკოლა). მართამ 5 შესაძლებლობიდან მოიპოვა 5,5 ქულა, ორივე სპორტსმენი გახდა მე-5 თანრიგოსანი, დაჯილდოვდნენ შესაბამისი ხარისხის დიპლომებით და მედლებით.

უთანრიგო, 8 წელს გადაცილებულ ჭაბუკებში მე-2 საპრიზო ადგილი დაიკავა ლევან კირკიტაძემ („კერძო სკოლა მზეკაბანი 2007“). მან 7 შესაძლებლობიდან მოიპოვა 6 ქულა და ასევე გახდა მე-5 თანრიგოსანი, მას გადაეცა შესაბამისი ხარისხის დიპლომი და მედალი. ამავე კატეგორიაში წარმატებით გამოვიდნენ და მე-5 თანრიგი შეასრულეს: ლაშა ჭუმბურიძემ, ნიკოლოზ ხოშტარიამ, ნიკოლოზ კალანდარიშვილმა, ტატო ხუჯაძემ (ყველა კერძო სკოლა „მზეკაბანი“), ნუგზარ არაბიძემ (ჩხარის №2 სკოლა), გიორგი ქოჩიაშვილმა, ზვიად კურტანიძემ, რეზო გავაშელაშვილმა ველა (თერჯოლის №2 სკოლა), ჯემალ ბუსკივაძემ (ღვანკითის საჯარო სკოლა), ნოდარ ქარქაშაძემ (ჩხარის №1 საჯარო სკოლა), მე-5 თანრიგოსან გოგონათა შორის მე-6 ადილი დაიკაბა და მე-4 თანრიგის ერთი ნორმატივი შეასრულა ბარბარე შალამბერიძემ. მე-4 თანრიგოსან ჭაბუკთა შორის მე-5 ადგილი დაიკავა და მე-3 თანრიგის ერთი წორმატივი შეასრულა ჯუბა არაბიძემ (კერძო სკოლა „მზეკაბანი“).

მე-3 თანრიგოსან გოგონათა შორის მე-2 საპრიზო ადგილი და მე-2 თანრიგი მოიპოვა ლანა სოფრომაძემ (რუფოთის საჯარო სკოლა), ლანა საჯილდოვდა შესაბამისი ხარისხის დიპლომით და მედლით.

გამარჯვებულები დააჯილდოვა მაია ჩიბურდანიძის სახელლობის საჭადრაკო სკოლის დირექტორმა ალექსანდრე არსენიძემ.

14-16 იცნისს ქ. ქიუთაისში ჩატარდა „მერაბ მეტრეველის მემორიალი 2024“ სწრაფ ჭადრაკში.

18 ივნისს, იმერეთის რეგიონალური საჭადრაკო ტურნირის გამარჯვებულთა დაჯილდოება საზეიმო ვითარებაში გაიმართა კულტურის ცენტრში. ეს ტურნირი ჩატარდა მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ორგანიზებით და იმერეთის ფედერაციის მხარდაჭერით. ტურნირი ჩატარდა შვეიცარული სისტემით 7 ტურად, მასში 90-მდე ახალგაზრდა მოჭადრაკე მონაწილეობდა. წარმატებით ითამაშეს და საპრიზო ადგი-



ლები მოიპოვეს თერჯოლის ა(ა)იპ სპორტული სკოლის ჭადრაკის წრის მოსწავლეებმა 11 წლამდე ჭაბუკებში მე-3 საპრიზო ადგილი დაიკავა გეგა გაბრიჭიძემ (თერჯოლის №2 სკოლა), ღია ტურნირში ასევე მე-3 საპრიზო ადგილი მოიპოვა გიორგი ბუცხრიკიძემ. (თერჯოილის №1 სკოლა). გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ შესაბამისი ხარისხის დიპლომებით, მედლებით და თასებით (მწვრთნელი მერი ჩაფიჩაძე). ასევე კარგი შედეგი აჩვენა 11 წლის ჭაბნუკებში გელა კაპანაძემ (მე-5 ადგილი).

ამავე ტურნირზე ასევე წარმატებით იასპარეზეს თერჯოლის სპორტული სკოლის იმ მოჭადრაკეებმა, რომლებსაც ჭადრაკში ეროვნული ოსტატობის კანდიდატი გია ჭუმბურიძე წრთვნის.

ამ მოჭადრაკეებიდან 8 წელს გადაცილებულ უთანრიგო გოგონათა შორის მეორე ადგილი დაიკავა ტაისია ტყავაძემ. აბსოლუტურ ასაკში, ქალ მოჭადრაკეთა შორის კი ვიცე ჩემპიონი გახდა ნინი წივწივაძე. ასევე, 14-16 ივნისს ქ. ქუთაისში ჩატარდა საჭადრაკო ტურნირი „მერაბ მეტრეველის მემორიალი“, სადაც კვლავ გვასახელეს ჩვენმა მოჭადრაკეებმა. კაც მოჭადრაკეთა შორის აბსოლუტურ ასაკში, სადაც ასაკი შეუზღუდავი იყო თანაბარი ქულებით პირველ-მეორე ადგილი ქუთაისელ მოჭადრაკესთან ერთად გაიყო გურამ ჩუბინიძემ და კოეფიციენტით გახდა ტურნირის ვიცე ჩემპიონი. ასევე, ანალოგიურ ტურნირზე ქალ მოჭადრაკეთა შორის ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ლიზი ჩუბინიძემ, მეორე ადგილზე კი გავიდა ნინი წივწივაძე.

**მორიგ წარმატებებს ვულოცავთ ჩვენს მოჭადრაკეებს და მათ მწვრთნელებს და სამომავლოდ გამარჯვებებს ვუსურვებთ მათ!**

**ელგუჯა გოგბერაშვილი,**
**სპორტსკოლის მთავარი სპეციალისტი**





## ნანა მასწავლებლის ხსოვნას

კიდევ ერთხელ ჩამოჰკრა გლოვის ზარმა ძევრის საჯარო სკოლაში. სკოლის პედაგოგთა რიგებს გამოაკლდა ისტორიისა და სამოქალაქო განათლების პედაგოგი ნანა ისაკაძე.



ერთ წიგნს, ერთ კალამს, ერთ ბავშვს, ერთ მასწავლებელს შეუძლია შეცვალოს სამყარო, სწორედ ასეთი იყო ნანა მასწავლებელი. იგი დააკლდა არა მარტო ოჯახს, არამედ სამშობლოს, აღზრდილებს, აღსაზრდელებსა და მის მეგობრებს, წავიდა და თან წაიღო მისთვის სალოცავ ხატადქცეული პედაგოგიური ენთუზიაზმი.

ნანა მასწავლებელი იმ წარმატებული პედაგოგების რიგებში იდგა, რომლებიც ძევრის სკოლის აღსაზრდელებს ერის სასიქადულო მამულიშვილებად ზრდიან. იგი გამორჩეული იყო კეთილგონიერებით, საქმისადმი პასუხისმგებლობითა და პროფესიონალიზმით. წინ კიდევ უამრავი წარმატებული გზა იყო გასავლელი, მაგრამ ვაი, რომ არ დასცალდა, უკურნებელმა სენმა შთანთქა ახალგაზრდა, მებრძოლი სული.

ადამიანები სიკვდილმისჯილნი იბადებიან, მაგრამ ყველას ერთნაირად როდი ჰკლავს ღმერთი, ზოგის სახელი სიკვდილთან ერთად ჰქრება, ზოგის კი შარავანდედით იმოსება, ნანა მასწავლებელს უკვდავება ერგო წილად!

მსუბუქი იყოს ნანა მასწავლებლის გულზე დაყრილი მშობლიური ქვეყნის მიწა. ჩვენ ისღა დაგვრჩენია უფალს შევავედროთ მარადისობაში წასული მისი კეთილი სული.

**ძევრის საჯარო სკოლის პედკოლექტივი და ტექპერსონალი**

## იზო აბულაძის შეუსრულებელი 77

რედაქცია მისი მეორე ოჯახი იყო, სადაც სკოლისა და სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მოვიდა და მთელი თავისი ცხოვრება თითქმის სიცოცხლის ბოლომდე აქ გაატარა. იზო ბუღალტერს თავისი ფუნქცია და მოვალეობა ჰქონდა, რასაც მონდომებით, ერთგულებითა და პასუხისმგებლობით ასრულებდა. იყო უაღრესად კოლეგიალური, მეგობრული, ავ-კარგიანი, რის გამოც მუდამ სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობდა.



იზო ჩხარში, მშრომელ, შეძლებულ ოჯახში გაიზარდა, შემდეგ კი ბედი თერჯოლაში მცხოვრებ გენო ქოჩიაშვილს დაუკავშირა და ლამაზი ოჯახი შექმნა. მეუღლესთან ერთად ერთი შვილი აღზარდა და მის მომავალზე ოცნებობდა, სამწუხაროდ ვერ მოესწრო.

კარგი მეუღლე, კარგი დედა და კარგი დიასახლისი—ასე დაგვამახსოვრდა.

იზოსთან დაკავშირებული მოგონებები ბევრია, თუმცა ახლა გულისტკივილით მისი გახსენება და შეუსრულებელი 77 წლის მილოცვაღა დაგვრჩენია.

გილოცავთ იზო, ღმერთმა ნათელში გამყოფოს და გემსუბუქოს სამუდამო განსასვენებელი. გვიყვარხარ...

**გაზეთი „თერჯოლა“**

თერჯოლის №3 საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ მარგო კუტივაძეს მეუღლის

**ზაური კუპატაძის**

გარდაცვალების გამო.

თერჯოლის №3 საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ თეონა და ზურა ბრეგვაძეებს მამამთილისა და მამის

**ფრიდონ ბრეგვაძის**

გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეზობლები იუწყებიან რომ გარდაიცვალა

**ნათელა ერგემლიძე**

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

# „ნიჭს სჭირდება მებრძოლი სული“...

**ასე მიმართა სამხატვრო სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა თამარ ღარიბაშვილმა 14 ივნისს აღსაზრდელებს და დამთვალიერებლებს მიმდინარე სასწავლო წლის შემაჯამებელი გამოფენის გახსნაზე, როცა მოსწავლეთა ნამუშევრებისა და წლის განმავლობაში მათ მიერ პროფესიული განვითარების პროგრესზე საუბრობდა. ქალბატონმა თამარმა აღნიშნა იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა აქტივობას და სკოლაში სისტემატიურად, სწავლის დამთავრებამდე მიღებულ ცოდნასა და გაკვეთილებს. ისინი მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ღებულობენ სკოლის დამთავრების მოწმობას, რაც მნიშვნელოვანი დოკუმენტია ამ სპეციალობით სწავლის გაგრძელების შემთხვევაში.**



წლის შემაჯამებელი გამოფენა, რომელიც რიგით მეხუთეა მრავალმხრივ მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანია. საგამოფენო სივრცისათვის თვალის ერთი შევლებაც, თითქოს ნაცნობ გალერეაში გამოგზაურებს. აქ წარმოდგენილი ნამუშევრების უმეტესობა გამოჩენილ და კარგად ცნობილ ხელოვანთა ფიროსმანის, გუდიაშვილის, სხვათა და სხვათა შედევრების კოპირებით, თერჯოლის სამხატვრო სკოლის მოსწავლეებმა პედაგოგების რჩევით მოამზადეს. რამდენადაც ხატვის ასეთი მეთოდი მოსწავლეებს დაეხმარება შემდგომში პროფესიული განვითარებისა და დახელოვნების გზაზე, ამბობს ქალბატონი თამარი...



ამ გამოფენაზე არის სხვა სიახლეც. თითქმის ყველა მოსწავლეს, რომელთა ნახატები წარმოდგენილია გამოფენაზე, მოუმზადებია ახალი ნიმუშები გამოყენებით ხელოვნებაში. ძალიან ლამაზია თითოეული, ორიგინალური ფორმისა და წარმოსახვისაა, რომლის დასამზადებლად სულ უბრალო მასალაა საჭირო: ქაღალდი და წებო და კიდევ უმთავრესი, ლამაზი ფანტაზია და გემოვნება.

ქალბატონ თამარს არაერთხელ უთქვამს, რომ „თერჯოლაში ბევრი ნიჭიერი ბავშვია და ყველა ახალი თაობა მაოცებსო“... დამთვალიერებლებს რომ ჰკითხოთ გეტყვიან, რომ „ყოველი ახალი გამოფენა გვაოცებს“.

ქალბატონი თამარი ახლა იმ მოსწავლეებს მიმართავს, რომლებმაც საჯარო სკოლები დაამთავრეს, ასევე წარმატებით დაასრულეს სამხატვრო სკოლის სრული კურსი და ამის დამადასტურებელ მოწმობასაც დღეს აქ საზეიმო ვითარებაში მიიღებენ.

„არაჩვეულებრივი ბავშვები, უაღრესად მოწესრიგებულები და პასუხისმგებლიანები, ნიჭიერი და შრომისმოყვარეები, სულიერი და ესთეტიკური სიმაღლეების მატარებლები, მებრძოლი სულისანი“—ასე ახასიათებს მათ თამარი და გამოფენაზე მოწვეული სტუმრებისა და დამთვალიერებლების წინაშე წარადგენს შვიდ ახალგაზრდას, რომლებმაც წელს სკოლა დაამთავრეს. ესენი არიან: გივი წაქაძე, არაერთხელ რომ გააოცა თავისი საგამოფენო ექსპონანტებით არა მხოლოდ დამთვალიერებლები, არამედ თავად სკოლის დირექტორი და პედაგოგები, ყველა გამოფენაზე ჰქონდა დაუვიწყარი სიურპრიზი. დაბადებიდან არქიტექტორი, მოკლედ ასე აფასებს მას ქალბატონი თამარი.

დირექტორის შექება და სამადლობელი დაიმსახურეს აგრეთვე ვახტანგ და ნიკოლოზ ყიფიანებმა, ნინი მაჭარაშვილმა, ანა კუბლაშვილმა, ლიზი დვალმა და ნუცა წაქაძემ. ამ ბავშვებიდან გივი წაქაძის გარდა კიდევ ოთხი არქიტექტურულზე აბარებს. დიდია იმედი, რომ ყველა მათგანი სასურველ ფაკულტეტზე ჩაირიცხება. ასეთ შემთხვევაში ქალბატონი თამარის ვარაუდით ამ სკოლის კურსდამთავრებულ და ამჟამად წარმატებულ 12 თერჯოლელ არქიტექტორს კიდევ 5 დაემატება, ხოლო ჩვენი პატარა თერჯოლის შემთხვევაში ეს ძალიან საამაყო ფაქტია.

შეკრებილ საზოგადოებას მიესალმა და სამხატვრო სკოლის კურსდამთავრებულ ახალგაზრდებს სკოლის დამთავრება მიულოცა და სკოლის დამთავრების მოწმობები გადასცა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა ბატონმა მანუჩარ რობაქიძემ.

„გილოცავთ ამ ლამაზ დღეს და წარმატებულ მომავალს გისურვებთ თითოეულ თქვენთაგანს. მე მადლობა უნდა გითხრათ იმისათვის, რომ აქ, ამ დარბაზში, თქვენი ნამუშევრებით წლების განმავლობაში გვანიჭებდით სიამოვნებას. თქვენ, თქვენი მიზანდასახულობით და შრომისმოყვარეობით ნამდვილად მიაღწევთ მიზანს და დაიკავებთ სასურველ ადგილს ცხოვრებაში. კიდევ 5 არქიტექტორი და ყველანი ერთად ნამდვილად სჭირდება ჩვენს ქვეყანას...

მადლობა კიდევ ერთხელ ამ სკოლას, მის ერთ მუშტად შეკრულ კოლექტივს, ასეთი ერთსულოვნება და ახალგაზრდებზე ზრუნვისათვის თავდადება საამაყო და დასაფასებელია“.

ახლა კი სკოლას, თითოეულ დამთვალიერებელს, მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოს, მშობლებს მადლობას უხდიან კურსდამთავრებულები. ძალზე საინტერესო და მრავლისმეტყველია მათი მოკლე გამოსვლები.




**ანა კუბლაშვილი:** მადლობა ყველა პედაგოგს, მე თქვენ ბევრი რამ მასწავლეთ, სახლში ხატვა კარგია, მაგრამ სულ სხვაა აქ, როცა პედაგოგები გიხსნიან, ყველაფერი ბევრად ადვილია და შედეგიც მიღწეული.

**ლიზი დვალი:** მადლობა სამხატვრო სკოლას, პედაგოგებს. შეიძლება ითქვას აქ გავიზარდე, თითოეული დღე იყო ძალიან მნიშვნელოვანი, აქ ხატვას ვსწავლობდი და ამასთან ვიღებდი საქმისამი დამოკიდებულების საუკეთესო მაგალითებს.

**ნინი მაჭარაშვილი:** მეც უსათუოდ მადლობას გადაგიხდით. ბედნიერი ვარ და ძალიან კარგად დამამახსოვრდება ეს წლები, რომელიც აქ გავატარე. მიყვარხართ.

**ვახტანგ ყიფიანი:** მადლობა ყველაფრისთვის. ძალიან მომენატრება ეს სკოლა. აქ იყო დაუვიწყარი ბევრი ბედნიერი დღე.

ნიკოლოზ ყიფიანი: მიხარია, რომ მქონდა საშუალება აქ სწავლისა, ნამდვილად ვიცი ცხოვრებაში გამომადგება აქ მიღებული გაკვეთილები.

**გივი წაქაძე:** ძალიან დიდი მადლობა უნდა გითხრათ. ეს სკოლა ჩემს მეორე მშობლიურ სახლად იქცა. აქ იყო სიხარული, აქ იყო ის, რომ შენი მიღწევა და სიხარული მარტო შენი არ არის... როცა რაიმეს დიდი რუდუნებით აკეთებ და მას მოსალოდნელზე უფრო მეტად შეგიფასებენ, გიჩნდება სურვილი კიდევ უკეთესზე იფიქრო და გააკეთო. როცა იდეებში და ფანტაზიებში არ გზღუდავენ. დიახ, აქ იყო თავისუფლება და ვფიქრობ ეს ყველაზე მთავარია განვითარებისათვის...

**მშობელი, მამა ანდრია ყიფიანი:** ეს სკოლა და მისი შემოქმედებითი პედაგოგიური კოლექტივი მადლობაზე მეტს იმსახურებენ. შვიდი წელია ჩემი შვილები აქ დადიან და ბედნიერი ვარ ამით. ეს ერთადერთი ადგილია, სადაც ძალდაუტანებლად სიხარულით მოდიან. ბედნიერები იყვნენ, როცა მათი ნახატები გამოფენაზე თავსდებოდა, ბედნიერი ვიყავი მეც და შემიძლია გითხრათ თითქმის ყველა ახალ გამოფენას ვესწრებოდი. აქ ისეთი სანუკვარი გარემოა შექმნილი არ შეიძლება თითოეულ მოსწავლეზე განსაკუთრებული გავლენა არ იქონიოს, როგორც ხელოვნების ამ დარგის პირველი ეტაპის დაუფლებაში, ასევე ადამიანის ზნეობისა და სულიერების ზრდაში.

დიახ, ხელოვნება სულიერებასთან არის დაკავშირებული და სკოლა ამის შესაძლებლობას ნამდვილად აძლევს მოსწავლეებს. მიხარია, დღეს ჩემმა შვილებმა ამ სკოლის დამთავრების მოწმობები აიღეს და გულიც მწყდება, თუმცა მესამე ქალიშვილიც აქ სწავლობს და გარკვეული წლები ისევ აქ ვართ.

სკოლის დირექტორს ქალბატონ თამარს, თითოეულ პედაგოგს, ქალბატონებს: ნინოს, დარეჯანს, თამთას და ეკას ვულოცავთ კიდევ ერთი სასწავლო წლის დამთავრებას.

წარმატებულ საქმიანობას ვუსურვებ სამომავლოდ.



ასე დალოცა მამა ანდრიამ სკოლა, მისი პედკოლექტივი და წარმატება უსურვა ხატვითა და ხელოვნებით დაინტერესებულ ყველა ახალგაზრდას.

მამა ანდრია თითქმის ყველა გამოფენის გახსნის მონაწილეა და საბედნიეროდ მისი ლოცვა-კურთხევა არაერთხელ გაჟღერებულა ამ დარბაზში.

ასე დასრულდა 2023-24 სასწავლო წელი სამხატვრო სკოლაში, შემდეგ იყო სამახსოვრო სურათების გადაღება და ლამაზი დამშვიდობება.

**ᲛᲖᲘᲐ ᲪᲥᲘᲤᲣᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ**


**ᲨᲞᲡ „ᲗᲔᲠᲯᲝᲚᲐ“**

გამომცემელი **ვალერიან გოგიაშვილი** **599 92 49 75**

მთავარი რედაქტორი **დავით კლდიაშვილი** **599 91 24 14**

**ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ**

რეგისტრაციის №53/5/ბ-22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: **gazetiterjola@gmail.com**

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში

**ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:**
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2

დაიბეჭდა ქუთაისის შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872